პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 215 (5316) | კვირა, 18 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

უზრუნველვყოთ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლა („პრავდის" მოწინავე)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. თავი IV (მე-2, 3 და 4 გვ.)

რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის („პრავდის" მოწინავე. მე-3 გვ.)

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის ოლქკომის მეორე პლენუმი (მე-4 გვერდი)

თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში (მე-4 გვერდი)

უცხოეთში:

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებანი (1-ლი გვ.)

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (1-ლი გვ.)

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი (1-ლი გვერდი)

გენერალ ბეკის გადადგომა (1-ლი გვ.)

საფრანგეთის პრესის აზრი (1-ლი გვ.)

ერთა ლიგის პლენუმზე

უზრუნველვყოთ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსმა ყველა კომუნისტის, ყველა არაპარტიული ბოლშევიკის ყურადღება მიიპყრო. ამ სტალინურად ბრძნულ მეცნიერულ შრომაში თავმოყრილია ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო რევოლუციური პარტიის მშენებლობის გამოცდილება, აქ თავმოყრილია ბოლშევიზმის უდიდესი იდეური სიმდიდრე. საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლა მძლავრი იდეური იარაღით შეაიარაღებს პარტიას, დახმარებას გაგვიწევს მოვახდინოთ ჩვენი პარტიული კადრების თეორიული სისუსტის ლიკვიდაცია. ჩვენს წინაშე ამჟამად მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას ამოცანა: **ჩავაბათ მთელი პარტია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საქმეში.**

ეს სერიოზული და პასუხსაგები საქმეა, რომელიც ვერ ითმენს აჩქარებასა და ხმაურს, რომელიც მოითხოვს **თანმიმდევრობას, გულდასმით მომზადებასა და მაღალ ორგანიზებულობას.** უნდა გავიგოთ, რომ ლაპარაკია არა კამპანიებზე, რომელთაც ჩვეულებრივ განსაზღვრული, მოკლე ვადები აქვს, არამედ გეგმაშეწონილ, გაღრმავებულ **შესწავლაზე.** აჩქარებას, ყოველგვარ პარადულობასა და ხმაურს ასეთ საქმეში შეუძლია მხოლოდ ზიანი მოგვიტანოს. ისინი აუცილებლად გამოიწვევენ ზერელობას და მიზანი მიღწეული არ იქნება. ბოლშევიკური პროპაგანდის ძალა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბოლომდე ააშკარავებს საკითხის დედაარსს, ღრმა ანალიზს უკეთებს მოვლენებს, სწავლობს მათს კავშირს, არწმუნებს და წინ მიუძღვის ადამიანებს. მხოლოდ ამნაირად შეიძლება ჩვენი პარტიული კადრების აღზრდა და მათი იდეოლოგიურად გამობრძმედა. მაგრამ ამავე დროს უკვე საკმაოდ ბევრია მაგალითები პარტიული ორგანიზაციების აჩქარებული, არასერიოზული მიდგომისა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისადმი. მთელ რიგ ადგილებში ხელმძღვანელებმა არცკი იფიქრეს იმაზე, თუ საიდან დაიწყონ პარტიის ისტორიის შესწავლა, რა ღონისძიებებია საჭირო ამისათვის, და არ დასვეს თავის წინაშე **ძირითადი** საკითხი: რა **მოსამზადებელი** მუშაობა უნდა ჩაატარონ იმისათვის, რომ დაიწყონ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის **ღრმად** შესწავლა? ამის ნაცვლად ისინი ნაჩქარევად, სასწრაფო წესით ნიშნავენ ყველა (აუცილებლად ყველა!) წრის პირველ მეცადინეობას.

ასეთმა აჩქარებულმა მიდგომამ არასწორი გადაწყვეტილებებიც უკარნახა მათ. პარტიის ისტორიის შესწავლა აქა-იქ განსაზღვრეს მასობრივი ხმამაღლა წაკითხვით თითქმის სასადილო შესვენების დროს, საჭირო ახსნა-განმარტებათა გარეშე და არ მისცეს მსმენელებს საშუალება თვითონ საფუძვლიანად გასცნობოდნენ მასალას. ამავე დროს ცხადია, რომ სახელმძღვანელოს თვითეული თავი, განსაკუთრებით მეოთხე, რომელიც მიძღვნილია მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიისადმი, ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლებისადმი, მოითხოვს მომზადებას, ყურადღებით გარჩევას ფანქრით ხელში, რადგან მოკლე კურსის თვითეული ფორმულირება შეიცავს უდიდეს თეორიულ და პოლიტიკურ შინაარსს. ხოლო უხეირო ხელმძღვანელებს არ სურთ იფიქრონ ამაზე და ზიანს აყენებენ ბოლშევიკური პროპაგანდის ინტერესებს.

აჩქარებამ თავი იჩინა აგრეთვე პარტიული განათლების წრეების მუშაობაშიც. გამოქვეყნდებოდა თუ არა „პრავდაში" სახელმძღვანელოს მორიგი თავი, დაუყოვნებლივ ჩაუჯდებოდნენ მის „დამუშავებას", კითხულობდნენ პირველ და მეორე თავებს, და არ იცოდნენ, თუ რა იყო ნათქვამი მესამე თავში, არ ჰქონდათ საკმაო წარმოდგენა კურსზე მთლიანად.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში გამომჟღავნდა მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლობა პარტორგანიზაციების მხრით, მისწრაფება კამპანიურად „ჩაებულბულებინათ" უმნიშვნელოვანესი საკითხი.

მაშ რით უნდა იქნას დაწყებული მზადება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლისათვის? **დაწყებულ უნდა იქნას პროპაგანდისტების მომზადებით.** ეს არის ძირითადი, ცენტრალური საკითხი, რომლის გადაუწყვეტლად არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სხვა საკითხები.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი თეორიულად ანზოგადებს ბოლშევიკური პარტიის მთელს გიგანტურ ისტორიულ გამოცდილებას, იგი იძლევა მუშათა კლასისა და მისი პარტიის რევოლუციური ბრძოლის ურთულესი მომენტების ნამდვილ მეცნიერულ მარქსისტულ ახსნა-განმარტებას. უნდა გავიგოთ ამ მეცნიერული შრომის სიბრძნის მთელი სიღრმე და იმით ვასწავლოთ კომუნისტებს ბრძოლისა და გამარჯვებათა ბოლშევიკური ხელოვნება. განა ცხადი არ არის, თუ რა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ პარტიული პროპაგანდისტების კადრებმა, რომელთაც მინდობილი აქვთ პარტიის წევრთა პოლიტიკური აღზრდა, რომლებმაც მსმენელებს უნდა მიაწოდინონ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის თვითეული სიტყვა?!

პარტია იწყებს ახალ, დიდ მუშაობას, რომელსაც არ შეიძლება მივუდგეთ ძველი საზომით. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს პროპაგანდისტებს ესაჭიროებათ სერიოზული მომზადება, სანამ ისინი თავის მსმენელებთან წავიდოდნენ. მხოლოდ ის პარტიული ორგანიზაცია უზრუნველჰყოფს საქმის წარმატებას, რომლის ხელმძღვანელებიც მეცადინეობაზე შეჰკრებენ პროპაგანდისტული ძალების საუკეთესო ნაწილს, მოაწყობენ საუბრებს ადამიანებთან, განმარტავენ ყველა წამოჭრილ საკითხს, ახსნიან იმ **ახალს,** რასაც შეიცავს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, და **რეგულარულად** იმუშავებენ პროპაგანდისტებთან. ყველაზე კვალიფიციურ პროპაგანდისტთა მცირე ჯგუფი, რომელიც ასეთ მომზადებას მიიღებს, შესძლებს მომსახურება გაუწიოს პროპაგანდისტთა მეორე, უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს, და, ამნაირად, ჩვენი პროპაგანდისტული კადრები მეცადინეობის პროცესში თვითონაც ხელახლად ისწავლიან. პროპაგანდისტების წინასწარი მომზადება, მათი განუწყვეტელი დახელოვნება პარტიული სწავლების წარმატების უაღრესად სავალდებულო პირობაა.

ხელმძღვანელმა პარტიულმა მუშაკებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ პროპაგანდის ორგანიზაცია და პროპაგანდისტების შერჩევის საქმე. მთავარი ის არის, რომ პროპაგანდისტებად პირველ რიგში გახდნენ თვით ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები — პარტიული კომიტეტების მდივნები და წევრები. პროპაგანდისტთა შემადგენლობა უნდა შეიცავდეს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს. ეს საშუალებას მოგვცემს სწორად მოვაწყოთ საქმე, დაგვეხმარება ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული კადრების თეორიული მომზადების საქმეში.

წრეებში მომავალი მეცადინეობის წარმატების ძირითად პირობას წარმოადგენს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის თავების წინასწარი **ინდივიდუალური წაკითხვა.** თვითეულ კომუნისტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყურადღებით წაიკითხოს სახელმძღვანელოს გამოქვეყნებული ფურცლები და კარგად გაერკვეს წაკითხულში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ წრეებში წარმატებით, ღრმა მუშაობაზე, როცა მსმენელები საფუძვლიანად გაეცნობიან მოკლე კურსს. განა შეიძლება რამდენადმე მაინც ნორმალურად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ადამიანები წრის მეცადინეობაზე ისე მიდიან, რომ მოფიქრებული არა აქვთ მასალა, გადახარშული არა აქვთ წაკითხული და მაშინ, როცა როგორც რიგია ერთი თემა არ დაუმუშავებიათ, გაფაციცებით გადადიან მეორე თემაზე? ასეთი აჩქარება არაფრით არ არის გამოწვეული და არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლა დაიწყება მოკლე კურსის ცალკე წიგნად გამოსვლის შემდეგ. მაშინ უნდა ამუშავდნენ როგორც წესი და რიგია პარტიული განათლების წრეები, ხოლო ახლა დარჩენილი დრო უნდა მოხმარდეს პროპაგანდისტების მომზადებას და კომუნისტების მიერ მოკლე კურსის წინასწარ გაცნობას.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა მაღალ დონეზე აიყვანს მთელს პროპაგანდისტულ მუშაობას. პარტიულ აქტივს, ყველა კომუნისტს უნდა განვუმარტოთ მოკლე კურსის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი კოლოსალური როლი მტკიცე ბოლშევიკების აღზრდის საქმეში. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ თუნდაც სულ მცირეოდენ დამახინჯებებს მეცადინეობის საქმეში, არასერიოზულ მოპყრობას პროპაგანდისტული მუშაობისადმი.

ჩვენში არიან კიდევ ისეთი უვიცები, რომლებიც ახერხებენ პარტიის უძვირფასესი, ცოცხალი ღონისძიების გადაქცევას ფორმალობად. ასე, მაგალითად, უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. ოსტაპენკომ ქალაქის პროპაგანდისტებს შემდეგი „გეზი" მისცა: თუ პარტიულმა სკოლებმა ხუთი თემა გაიარეს, მაშინ ისინი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს სწავლობენ მხოლოდ იმ თემების მიხედვით, რომლებიც ძველი პროგრამით გაუვლელი დარჩათ. ასეთივე მითითება მისცა უკრაინის კ. პ. (ბ) მაკეევკის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კორენევმა, რომელმაც წინადადება მისცა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა პირველი თავიდან მხოლოდ იმ სკოლებში დაეწყოთ, სადაც დამთავრებულია მხოლოდ ოთხი თემა ძველი სახელმძღვანელოს პროგრამით. რაც შეეხება იმ სკოლებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ მეშვიდე და მერვე თემები, მათ, ამხ. კორენევის გეზის მიხედვით, თითქოს არ უნდა შეისწავლონ პირველი ხუთი თავი, არამედ უნდა დაიწყონ პირდაპირ იმ თავიდან, რომელიც მორიგ თემას შეესაბამება.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ განმარტონ ასეთი „დაწყებათა" მცდარობა. პარტიული განათლების მთელმა ქსელმა, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ისტორიას სწავლობს, სავსებით და მთლიანად უნდა შეისწავლოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი.

საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას აგრეთვე მეორე შეცდომაც. არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესასწავლად თითქმის ორთვიან ან სამთვიან ვადას აწესებენ. ასეთი აჩქარება ზიანის მეტს არაფერს მოგვცემს.

მთელი ძალღონე უნდა მოხმარდეს იმას, რომ პარტიული განათლების ორგანიზაცია პარტიის ისტორიის ლენინურ-სტალინური მოკლე კურსის დონეზე იდგეს. იწყება პარტიული კადრების ღრმა და სერიოზული სწავლების პერიოდი. ეს კიდევ უფრო მეტად გამობრძმედს პარტიას, კიდევ უფრო მძლავრს გახდის მას, შეაიარაღებს მის მებრძოლთ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი იარაღით.

„პრავდის" მოწინავე, 17/IX.

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 17 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გამოსცა მთელი რიგი ახალი დადგენილებანი რესპუბლიკური წესრიგის უზრუნველსაყოფად. დაშლილია არა მარტო ჰენლაინელთა პარტია, არამედ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ყველა ორგანიზაციებიც. ჰენლაინელთა პარტიის ყველა საოლქო ცენტრის (პრაღა, კარლოვი ვარი (კარლსბადი), ლაბის უსტი და სხვ.) შენობებში მოხდა ჩხრეკა. ჩხრეკის დროს აღმოჩენილი მთელი მასალა კონფისკებულ იქნა, შენობები დაილუქა. ხებში ჰენლაინელთა ცენტრალური ხელმძღვანელობის შენობის გაჩხრეკისას იპოვეს 80 ათასი პირის სია, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ პუტჩში იარაღით ხელში. ჰენლაინელთა კომიტეტების შენობებში დიდძალი იარაღი იპოვეს. ჰენლაინელთა ერთერთი მეთაურის სახლის გაჩხრეკისას იპოვეს სამი ყუთი ხელყუმბარები, 10 ავტომატური შაშხანა და მრავალი სასროლი მოწყობილობა გერმანული წარმოშობისა. 5 კაცისაგან შემდგარმა ჰენლაინელ მოიერიშეთა ბანდამ გაჩხრეკისას წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ისინი ყველანი დააპატიმრეს და განსაკუთრებულ სამართალში მისცეს. ჰენლაინელთა პარტიის მთელ რიგ კომიტეტებში აღმოაჩინეს ფეთქებადი ნივთიერებანი, რომლებსაც ინახავდნენ კონსერვის ქილებში, ბენზინის ბაკებში და სხვ.

ბრძანება იარაღისა და სასროლი მოწყობილობის 24 საათის განმავლობაში სავალდებულო ჩაბარების შესახებ გავრცელებულია აგრეთვე მორავიის ყველა ოლქზე.

მთავრობის ღონისძიებებს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ფართო მასები აღტაცებით შეხვდნენ.

აქ გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს ჩემბერლენმა შესთავაზა ჰიტლერს სუდეტის ოლქში პლებისციტის ჩატარება და იქ საერთაშორისო პოლიციის შეყვანა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბეხინე დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზ „ლიდოვე ნოვინში" გამოვიდა განცხადებით, რომელშიაც ნათქვამია: „პლებისციტი უმოკლესი გზაა ომისაკენ. ჩეხოსლოვაკიაში არ არის მთავრობა, რომელიც დაეთანხმოს წინადადებას პლებისციტის შესახებ. ასეთი მთავრობა კიდეც რომ აღმოჩნდეს, მას ერთი საათის განმავლობაში დაამხობდა აღშფოთება მთელი ერისა, რომელიც სიკვდილს ამჯობინებს თავისი სამშობლოს დაღუპვას. ჩვენს ქვეყანაში არ იქნება არავითარი პლებისციტი, არავითარი საერთაშორისო პოლიცია. ჩვენ თვითონ შევქმენით წესრიგი და თვითონ დავიცავთ მას. ჩვენ დავანახვებთ ყველას, რომ შეგვწევს ძალა თვითონ განვახორციელოთ ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობის პროგრამა". დასასრულ, ბეხინემ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივობას მიმართა მოწოდებით—დაიცვას სრული ნდობა მთავრობისა და არმიისადმი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი

პრაღა, 16 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დადგენილებით, ჰენლაინელთა პარტია დაშლილია და გამოცხადებულია კანონის გარეშე.

საგანგებო წესები გავრცელებულია სუდეტის ოლქის ყველა ოკრუგებზე.

გაცემულია განკარგულება, რათა უახლოესი 24 საათის განმავლობაში აუცილებლად ჩაბარებულ იქნას ყოველგვარი იარაღი, რაც ჩეხიის 68 ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებს მოეპოვებათ. ის პირნი, რომელნიც დაწესებული დროის განმავლობაში არ ჩააბარებენ იარაღს პოლიციისა და ჟანდარმერიის ადგილობრივ ორგანოებს, დაპატიმრებულნი იქნებიან და მიეცემიან სამართალში რესპუბლიკის დაცვის კანონის სათანადო მუხლების მიხედვით.

ჩეხოსლოვაკიის პრესა ჰიტლერთან ჩემბერლენის გამგზავრების შესახებ

პრაღა, 16 სექტემბერი (საკდესი). ჩემბერლენის გამგზავრება ჰიტლერთან შესახვედრად ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის მიერ შეფასებულია როგორც სურვილი ინგლისის მთავრობისა საფრანგეთის თანხმობით მსხვერპლად შესწიროს ჩეხოსლოვაკიის ინტერესები.

მთელი რიგი დემოკრატიული გაზეთები ჰგმობენ ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკას ჩეხოსლოვაკიის მიმართ. ჩეხი კათოლიკების პარტიის ცენტრალური ორგანო „ლიდოვე ლისტი" სწერს, რომ ინგლისისადმი ნდობის პოლიტიკამ, რომლისთვისაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძულებული იყო მხარი დაეჭირა, სრული მარცხი განიცადა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. „ზეგავლენის პოლიტიკის შედეგები, — სწერს გაზეთი,—ფრიად სამძიმოა". გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინოს რესპუბლიკის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. „ინგლისისადმი მეტად დიდი ნდობის გამოჩენის შემდგომი პოლიტიკა, — აცხადებს გაზეთი,—არა თუ დაასუსტებდა მხოლოდ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, არამედ უდიდეს ზიანსაც მოგვიტანდა, გამოიწვევდა რა შინაგან შერყევას".

უცხოელები მიდიან გერმანიიდან

ჟენევა, 16 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი", რომელიც ბაზელში გამოდის, ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიიდან საზღვარგარეთ მიმავალი მატარებლები სავსეა ხალხით. ათასობით უცხოელები მიდიან გერმანიიდან. კერძოდ, გაზეთის სიტყვით, ბერლინში მცხოვრები ინგლისელებისა და ფრანგების დიდი ნაწილი სამშობლოში წავიდა.

ჩეხოსლოვაკიის ლონდონელი ელჩის განცხადება

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ლონდონელმა ელჩმა მასარიკმა განაცხადა, რომ მან გუშინ პრაღიდან მიიღო კატეგორიული უარყოფა იმ ყალბი ცნობებისა, რომლებსაც გერმანული წყაროები ავრცელებენ ჩეხოსლოვაკიის არმიის ვითომდა საყოველთაო მობილიზაციის ჩატარებისა და უნგრეთის საზღვრის დახურვის შესახებ.

ჰენლაინელების გაქცევა გერმანიაში

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება ქალაქ ჰირშბერგატიდან, რომელიც გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე მდებარეობს, 9 ათასზე მეტმა ჰენლაინელმა გადალახა გერმანიის საზღვარი.

ჩემბერლენისა და ჰიტლერის ახალი შეხვედრისათვის

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება ბერლინიდან ჩემბერლენსა და ჰიტლერს შორის მოლაპარაკების განახლება მოსალოდნელია 20 სექტემბერს. მოლაპარაკება იწარმოებს გოდესბერგში (კურორტი რეინის ოლქში). ბერლინის დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ, ალბათ, გოდესბერგში წარმოებულ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საფრანგეთის პრემიერი დალადიეც.

გენერალ ბეკის გადადგომა

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის პრესა ფართოდ აქვეყნებს ცნობას გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ბეკის გადადგომის შესახებ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ბერლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ ბეკის გადადგომა რაღაც საიდუმლოებით არის მოცული. საქმის გაცნობილი წრეების ცნობებით, აგვისტოს დამლევს ბეკმა მიმართა ჰიტლერს თხოვნით განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ჰიტლერმა მისი გადადგომა არ შეიწყნარა. მაშინ ბეკმა ითხოვა დროებით განთავისუფლებინა იგი თავისი მოვალეობათა შესრულებისაგან, რაზედაც ჰიტლერმა თანხმობა განაცხადა.

ამჟამად ზუსტად გამორკვეულია, რომ ბეკი გენერალური შტაბის სამსახურში არ იმყოფება. მის მოვალეობას ასრულებს არმიის გენერალკვარტირმეისტერი. კორესპონდენტის სიტყვით, ბეკი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკას, რომელსაც შეუძლია ჩაითრიოს გერმანია ევროპის ომში. ჰიტლერი, — სწერს კორესპონდენტი,—14 სექტემბერს ეთათბირა რიბენტროპს. ფიქრობენ, რომ ამ თათბირს დაესწრნენ აგრეთვე გენერლები ბრაუხიჩი და კეიტელი.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" ბერლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანელი გენერლების დიდი რაოდენობა ჰფიქრობს, რომ გერმანიის არმია არ არის მომზადებული ომისათვის. ჰფიქრობენ, რომ ბეკი არ გადადგებოდა, თუ იგი დარწმუნებული არ ყოფილიყო იმაში, რომ ჰიტლერმა საბოლოოდ გადასწყვიტა ომის დაწყება. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ გერმანელ ხალხს სურს მშვიდობიანობა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის პრესა ჩეხოსლოვაკიის პრობლემის შესახებ

ლონდონი, 17 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ჩემბერლენი გაემგზავრა ჰიტლერთან წინადადებით ჩეხოსლოვაკიის „რეორგანიზაციის" შესახებ. მისი წინადადებაა სუდეტის ოლქის კანტონებად დაყოფა და ჩეხოსლოვაკიის „ნეიტრალურ სახელმწიფოდ" გადაქცევა. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, განაგრძობს მიმომხილველი, სჩანს, რომ ჩემბერლენსა და ჰიტლერს შორის არ არის აზრთა დიდი სხვადასხვაობა.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" მიმომხილველი, გამოსთქვამს რა იმავე აზრს, აღნიშნავს, რომ ჩემბერლენს ესმის, თუ რამდენად ძნელია აიძულოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მიიღოს ასეთი წინადადებანი.

გაზეთ „მანჩესტერ გარდიენის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ჰიტლერს სურს ანშლიუსი და უარჰყოფს ყოველგვარ წინადადებას, რასაც შეეძლო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაეტოვებინა ჩეხოსლოვაკია არსებული საზღვრების ფარგლებში.

მიმომხილველის სიტყვით სულ უფროდაუფრო ძლიერდება რწმენა, რომ უახლოეს დღეებში კრიზისი უმაღლეს წერტილს მიაღწევს.

გაზეთ „დეილი მეილის" სპეციალური კორესპონდენტი პრაისი, რომელიც ბერხტესგადენში იმყოფება, ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ ჩემბერლენსა და ჰიტლერს შორის მოლაპარაკების განახლებამდე გერმანია წინასწარ გადაჭრით გამოვა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. ამჟამად, სწერს პრაისი, გერმანიაში გაქცეულ ჰენლაინელთა რაოდენობა 25 ათას კაცს აღწევს. მათგან დაუყოვნებლივ იქნება გაფორმებული საგანგებო კორპუსი, რომელიც მიმართული იქნება ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. გერმანელთა ათასობით თვითმფრინავი სრულ მზადყოფნაშია. პრაისი იუწყება, რომ გუშინ ბერხტესგადენში ბერლინიდან ჩამოვიდა გერმანიის საჰაერო ძალთა რამდენიმე უმაღლესი ოფიცერი.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ პარიზის ოფიციალური წრეების აზრით, გერმანიის თავდასხმა ჰაერიდან შეიძლება დაიწყოს ყოველ წუთს, უახლოეს დღეებში.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 17 სექტემბერი (საკდესი). ტაბუი „ევრში", ეხება რა მოლაპარაკებას ჰიტლერსა და ჩემბერლენს შორის, სწერს, რომ „ჰიტლერმა ფორმალურად მოითხოვა სუდეტის ოლქის შეერთება გერმანიისათვის, პლებისციტის საშუალებით იქნება ეს თუ უპლებისციტოდ. მან განაცხადა, რომ პლებისციტის შემთხვევაში ის მოითხოვს ხელისუფლება გადაეცეს ადგილობრივ ჰენლაინელებს. შემდეგ ჰიტლერმა აგრძნობინა, რომ ისიც მოითხოვს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიამ უარი სთქვას საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის პაქტებზე. დასასრულ, ჰიტლერი აცხადებს, რომ იმის შემდეგ, როდესაც მოწესრიგებული იქნება „სუდეტის პრობლემა" მის მიერ ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით, იგი ოთხი სახელმწიფოს კონფერენციის მსვლელობის პროცესში წამოაყენებს ევროპის პრობლემების საერთო მოწესრიგების წინადადებას. შემდეგ ჰიტლერმა მოითხოვა მოწვეულ იქნას საგარეო საქმეთა ოთხი მინისტრის კონფერენცია არა უგვიანეს მომავალი კვირისა. თუ, განაცხადა ჰიტლერმა, არ იქნება მიღებული მისი წინადადება, ის ჯარს შეიყვანს სუდეტის ოლქის ტერიტორიაზე".

დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო ყურძნის კრეფა

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კოლმეურნე-ქალი ამხ. ბარბარე სოლომონის-ასული ბერიაშვილი ჰკრეფს ყურძენს.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ერთა ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 16 სექტემბერი (საკდესი). ესპანეთის დელეგაციის წინადადებით, ლიგის გენერალური მდივნის ანგარიშის კარი, რომელიც ესპანეთის აპელაციას შეეხება, მეექვსე (პოლიტიკურ) კომისიას გადაეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ესპანეთის საკითხი ყოველმხრივ იქნება განხილული როგორც ამ კომისიაში, ისე პლენუმზე, თუ ეს საჭირო იქნება.

ლიგის გენერალური მდივნის ანგარიშის გამო საერთო დისკუსიის გაგრძელების წესით გამოვიდა ლორდი დე ლა ვარი (ინგლისი). მან განაცხადა, რომ ლიგის წესდების მე-16 მუხლის განხილვის დროს (აგრესორის წინააღმდეგ სანქციების შესახებ) „ყოველმა სახელმწიფომ თვითონ უნდა გადასწყვიტოს, თუ რამდენად შეუძლია მას მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ ღონისძიებებში". შემდეგ დე ლა ვარმა განაცხადა, რომ საჭიროა „გამოყოფილ იქნას ერთა ლიგის წესდება სამშვიდობო ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც დადებულია 1914-18 წ. წ. ომის შემდეგ".

ამგვარად, ინგლისის მთავრობამ თავისი წარმომადგენლის პირით აშკარად განაცხადა, რომ საჭირო ხდება, როგორც დე ლა ვარმა გამოსთქვა, „ერთგვარი დათმობა არასასიამოვნო ფაქტების წინაშე", ესე იგი აგრესორებისათვის დათმობა. ამასთან ერთად ინგლისის მთავრობა მომხრეა ერთა ლიგის შენარჩუნებისა, რადგან იგი, როგორც სჩანს, შესაძლებელია, კიდევ გამოადგეს ინგლისს. იგი ცდილობს გამოიყენოს ლიგა აგრესორებთან ინგლისის თანამშრომლობის პოლიტიკისათვის. კერძოდ ინგლისის მთავრობას სურს წაართვას აგრესიის ახლანდელსა და მომავალში შესაძლებელ მსხვერპლთ ყოველგვარი იმედი იმისა, რომ მათ კოლექტიურ დახმარებას გაუწევენ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებანი

პარიზი, 16 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მარსელ კაშენის თავმჯდომარეობით ჩატარებული გუშინდელი თავისი სხდომის გადაწყვეტილებანი.

პოლიტბიურომ გამოაცხადა თავისი სოლიდარობა ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი და აღნიშნა მრავალი პროტესტი, რომელიც სახელმწიფოს ყოველმხრიდან მოდის ჩემბერლენის ცდების საწინააღმდეგოდ, რომელიც ფიქრობს საშუალება მისცეს ჰიტლერს განახორციელოს ჩეხოსლოვაკიის დანაწილების გეგმა.

იმ დროს, როდესაც დალადიემ,— ნათქვამია პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაში,—შესაძლებლად დაინახა რჩევა ეკითხა ფლანდენისათვის, ლუი მარენისათვის, პერნოსათვის, კაიოსა და სხვებისათვის, მან საჭიროდ არ სცნო შეეთანხმებინა თავისი მოქმედება სახალხო ფრონტის ორგანიზაციებთან, და განსაკუთრებით, შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და კომუნისტურ პარტიასთან. სავსებით ცხადია, რომ საშუალებას აძლევს რა ჰიტლერს განახორციელოს თავისი მიზნები ჩეხოსლოვაკიის მიმართ, ჩემბერლენი ამით სრულიადაც არ გამოჰხატავს ინგლისის ხალხის აზრს, რომელიც სავსებით მხარს უჭერს მშვიდობიანობის დაცვას აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევის გადამწყვეტი პოლიტიკის გატარების გზით. დალადიე და ბონე, იწონებენ რა ჩემბერლენის მოქმედებას, არ გამოჰხატავენ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს, ისევე როგორც არ იცავენ მშვიდობიანობისა და ქვეყნის უშიშროების ინტერესებს. ეს იმდენადვე შეეხება საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მიმართულ მათს მოქმედებას, რაც გამოიხატა მშვიდობიანობისა და ჩეხოსლოვაკიის სასარგებლოდ გამართული მიტინგების აკრძალვით, დეპუტატთა პალატის მოწვევის უარყოფით, პარლამენტის მემარცხენე ჯგუფების დელეგაციათა თათბირის მოწვევის ჩაშლისადმი მისწრაფებით.

შემდეგ დადგენილება ავალებს კომპარტიის წარმომადგენლებს სახალხო ფრონტის ეროვნულ კომიტეტში, რომ მათ მოითხოვონ კომიტეტისაგან ჩეხოსლოვაკიისადმი თავისი სოლიდარობის დადასტურება, რათა ამით ცხადჰყონ, რომ დემოკრატიული საფრანგეთი არ იწონებს და სოლიდარობას არ უცხადებს იმ პოლიტიკას, რომელიც აქეზებს ჰიტლერიზმის ექსპანსიას ევროპაში და რომელსაც მსხვერპლად ჰყავს საფრანგეთის უშიშროება. დადგენილება დაჟინებით მოითხოვს გატარებულ იქნას ცხოვრებაში კომპარტიის წინადადება პარლამენტის მოწვევის შესახებ. დადგენილება ავალებს გაბრიელ პერის მიაღწიოს საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიის მოწვევას. პოლიტბიურომ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა მოსამსახურეთა მოთხოვნისათვის ხელფასის გადიდების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა თავისი განზრახვა— გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მოხუცი მშრომელები უზრუნველყოფილი იქნან პენსიით, დაადასტურა თავისი სოლიდარობა მშრომელებისადმი, რომლებიც სამუშაო ხელფასის გადიდებისა და სოციალური კანონმდებლობის დაცვისათვის იბრძვიან.

შემდეგ დადგენილება მხარს უჭერს იმას, რომ განგრძობილ იქნას ფართო კამპანია დემოკრატიული საგადასახადო რეფორმის ცხოვრებაში გატარების მოთხოვნათა სასარგებლოდ.

პოლონეთის მთავრობის პრესის უტიფარი გამოსვლა

ვარშავა, 16 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის მთავრობის პრესა, რომელიც გამუდმებით უჭერდა მხარს ჩეხოსლოვაკიის მიმართ გერმანიის ფაშიზმის მტაცებლურ გეგმებს, ცენტრალურ ევროპაში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებას ანტიჩეხოსლოვაკური მკვეთრი გამოსვლისათვის იყენებს. დღეს მთავრობის გაზეთი „კურიერ პორანი" აშკარად ინსპირირებულ წერილს აქვეყნებს პირდაპირი მოწოდებით ჩეხოსლოვაკიის დანაწილების შესახებ.

მხარს უჭერს რა გერმანიის ფაშიზმის მოთხოვნას გერმანიასთან სუდეტის ოლქის შეერთების შესახებ, გაზეთი მოითხოვს პლებისციტს ჩეხოსლოვაკიის პოლონელი მოსახლეობისათვის და ტეშინის (ჩეხოსლოვაკური) სილეზიის შეერთებას პოლონეთთან.

ა.-წ. 19 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში (საზაფხულო შენობა) კომინტერნის ქ., № 5, შესდგება **თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა**

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის 1937 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება და 1938 წლის ბიუჯეტის განხილვა (ამხ. მურჯიკნელი).
2. ორგანიზაციული საკითხები.

თბილისის საბჭოს ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)

ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. **მოკლე კურსი.** მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

თავი IV

მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში. ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად.

(1908—1912 წლები)

1. სტოლიპინის რეაქცია. რღვევა ინტელიგენციის ოპოზიციურ ფენებში. დაცემულობა. პარტიული ინტელიგენციის ნაწილის გადასვლა მარქსიზმის მტრების ბანაკში და მარქსიზმის თეორიის რევიზიის ცდები. ლენინის გალაშქრება რევიზიონისტების წინააღმდეგ მის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა.

II სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქნა მეფის მთავრობის მიერ 1907 წლის 3 ივნისს. ამ დღეს ისტორიაში უწოდებენ სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალების დღეს. მეფის მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ და ამით დაარღვია 1905 წლის 17 ოქტომბრის თავისი საკუთარი მანიფესტი, რადგან, ამ მანიფესტის თანახმად, მას ახალი კანონები მხოლოდ სათათბიროს თანხმობით უნდა გამოეცა. მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სამართალში მისცეს, მუშათა კლასის წარმომადგენლები კატორღაში გაგზავნეს და გადაასახლეს.

ახალი საარჩევნო კანონი ისე იყო შედგენილი, რომ ბევრად ზრდიდა მემამულეებისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა რაოდენობას სათათბიროში, ამავე დროს რამდენჯერმე მცირდებოდა გლეხთა და მუშათა წარმომადგენლების ისედაც მცირე რიცხვი.

III სათათბირო თავისი შემადგენლობით შავრაზმულ-კადეტური იყო. დეპუტატების საერთო რიცხვიდან — 442 კაციდან — იქ იყო: მემარჯვენეები (შავრაზმელები) — 171, ოქტომბრისტები და მათი მონათესავე ჯგუფთა წევრები — 113, კადეტები და მათთან ახლო მდგომ ჯგუფთა წევრები — 101, ტრუდოვიკები — 13, სოციალ-დემოკრატები — 18.

მემარჯვენეთა სახით (ისინი ასე იმიტომ იწოდებოდნენ, რომ სათათბიროში მარჯვენა მხარეზე ისხდნენ) წარმოდგენილი იყვნენ მუშათა და გლეხთა უბოროტესი მტრები — ბატონყმობის მოტრფიალე შავრაზმელი მემამულეები, რომლებიც გლეხთა მოძრაობის ჩაქრობის დროს მასობრივად ამათრახებდნენ და ხოცავდნენ გლეხებს, ებრაელთა პოგრომების, მუშათა დემონსტრაციების გაჟლეტის, იმ შენობათა მხეცურად გადაბუგვის ორგანიზატორები, სადაც რევოლუციის დღეებში მიტინგები იმართებოდა. მემარჯვენეები მოითხოვდნენ მშრომელების უაღრესი სისასტიკით დათრგუნვას, მეფის შეუზღუდველ ხელისუფლებას, წინააღმდეგი იყვნენ მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტისა.

სათათბიროში მემარჯვენეებთან ახლოს იდგა ოქტომბრისტების პარტია, ანუ „17 ოქტომბრის კავშირი". ოქტომბრისტები წარმოადგენდნენ მსხვილი სამრეწველო კაპიტალისა და მეურნეობის კაპიტალისტურად გამძღოლ მსხვილ მემამულეთა ინტერესებს (1905 წლის რევოლუციის დასაწყისში ოქტომბრისტებისაკენ გადავიდა კადეტების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ მემამულეთა რიცხვიდან). ოქტომბრისტებს მემარჯვენეებისაგან განასხვავებდა მხოლოდ ის, რომ ისინი სცნობდნენ — ისიც სიტყვიერად — 17 ოქტომბრის მანიფესტს. ოქტომბრისტები სავსებით უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

კადეტებს, ანუ „კონსტიტუციურ-დემოკრატიულ" პარტიას, III სათათბიროში ნაკლები ადგილები ჰქონდათ, ვიდრე I და II სათათბიროებში. ეს იმით აიხსნება, რომ მემამულეთა ხმების ნაწილი კადეტებს ჩამოშორდა და ოქტომბრისტებს შეუერთდა.

III სათათბიროში წარმოდგენილი იყო წვრილბურჟუაზიული დემოკრატების, ეგრეთწოდებული ტრუდოვიკების მცირერიცხოვანი ჯგუფი. ტრუდოვიკები სათათბიროში მერყეობდნენ კადეტებსა და მუშათა დემოკრატიას (ბოლშევიკებს) შორის. ლენინი აღნიშნავდა, რომ თუმცა ტრუდოვიკები საშინლად სუსტნი არიან სათათბიროში, ისინი მაინც წარმოადგენენ **მასებს**, გლეხთა მასებს. ტრუდოვიკების მერყეობა კადეტებსა და სოციალ-დემოკრატიას შორის გარდუვალად გამომდინარეობდა წვრილ მეურნეთა კლასობრივი მდგომარეობიდან. ლენინი დეპუტატ-ბოლშევიკების წინაშე, მუშათა დემოკრატიის წინაშე აყენებდა ამოცანას — „დახმარებოდნენ სუსტ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, გამოეგლიჯათ ისინი ლიბერალების გავლენისაგან, დაერაზმათ დემოკრატიის ბანაკი კონტრრევოლუციური კადეტების წინააღმდეგ, და არა მარტო მემარჯვენეების წინააღმდეგ..." (**ლენინი**, ტ. XV, გვ. 486).

1905 წლის რევოლუციის მსვლელობაშიც, და განსაკუთრებით მისი დამარცხების შემდეგ კადეტები სულ უფროდაუფრო ააშკარავებდნენ თავის-თავს, როგორც კონტრრევოლუციური ძალა. ისინი სულ უფროდაუფრო იხდიდნენ „დემოკრატიულ" ნიღაბს, გამოდიოდნენ როგორც ნამდვილი მონარქისტები, ცარიზმის დამცველები. 1909 წელს უთვალსაჩინოესი კადეტი მწერლების ჯგუფმა გამოაქვეყნა კრებული „ვეხი", რომელშიც კადეტები ბურჟუაზიის სახელით ცარიზმს მადლობას უცხადებდნენ რევოლუციის დათრგუნვისათვის. კადეტები მლიქვნელობდნენ და მონურად ქედს იხრიდნენ მეფის მთავრობის — მათრახისა და სახრჩობელას მთავრობის წინაშე და პირდაპირ სწერდნენ, რომ საჭიროა „დავილოცოთ ეს ხელისუფლება, რომელიც მარტოდმარტო თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით კიდევ გვიცავდა ჩვენ (ესე-იგი ლიბერალურ ბურჟუაზიას) ხალხის გააფთრებისაგანო".

განდევნა რა II სახელმწიფო სათათბირო და გაუსწორდა რა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, მეფის მთავრობამ იწყო გაძლიერებით განადგურება პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციებისა. საკატორღო საპყრობილეები, ციხეები და გადასახლების ადგილები რევოლუციონერებით გაივსო. რევოლუციონერებს მხეცურად სცემდნენ საპყრობილეებში, აწამებდნენ და სტანჯავდნენ. შავრაზმული ტერორი მთელი სიძლიერით მძვინვარებდა. მეფის მინისტრმა სტოლიპინმა ქვეყანა სახრჩობელებით დაჰფარა. სიკვდილით დასჯილ იქნა რამდენიმე ათასი რევოლუციონერი. სახრჩობელას მაშინ „სტოლიპინის ჰალსტუხს" უწოდებდნენ.

თრგუნავდა რა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, მეფის მთავრობას არ შეეძლო დასჯერებოდა მარტო რეპრესიებს, დამსჯელ ექსპედიციებს, დახვრეტებს, საპყრობილეს, კატორღას. მეფის მთავრობა შეშფოთებული ხედავდა, რომ გლეხობის გულუბრყვილო რწმენა „მეფე-მამისადმი" სულ უფროდაუფრო ჰქრებოდა. ამიტომ მან მიჰმართა დიდ მანევრს, განიზრახა შეექმნა სოფლად თავისი მტკიცე დასაყრდენი სოფლის ბურჟუაზიის მრავალრიცხოვანი კლასის — კულაკობის სახით.

1906 წლის 9 ნოემბერს სტოლიპინმა გამოსცა ახალი საადგილმამულო კანონი თემიდან გლეხების ხუტორებად გამოყოფის შესახებ. სტოლიპინის საადგილ-მამულო კანონის მიხედვით ინგრეოდა მიწის თემობრივი სარგებლობა. თვითეულ გლეხს წინადადება ეძლეოდა აეღო თავისი ნადელი პირადს მფლობელობაში, გამოყოფილიყო თემიდან. გლეხს შეეძლო გაეყიდა თავისი ნადელი, რის უფლებაც მას წინათ არ ჰქონდა. საზოგადოება ვალდებული იყო თემიდან გამოსული გლეხებისათვის გამოეყო მიწა ერთ ადგილში (ხუტორი, ნაკვეთი).

მდიდარ გლეხებს — კულაკებს ამასთან შესაძლებლობა ეძლეოდათ იაფად შეესყიდათ ხელმოკლე გლეხებისაგან მათი მიწა. ამ კანონის გამოცემის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონზე მეტმა ხელმოკლე გლეხმა სავსებით დაჰკარგა მიწა და გაჩანაგდა. ხელმოკლე გლეხთა მიერ მიწის დაკარგვის ხარჯზე გაიზარდა კულაკური ხუტორებისა და ნაკვეთების რაოდენობა. ზოგჯერ ეს იყო ნამდვილი მამულები, სადაც ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ, მოჯამაგირულ შრომას. მთავრობა აიძულებდა გლეხებს კულაკ-მეხუტორეებისათვის თემიდან საუკეთესო მიწა გამოეყოთ.

თუ გლეხთა „განთავისუფლების" დროს მემამულეები სძარცვავდნენ გლეხთა მიწას, ახლა კულაკებმა იწყეს სათემო მიწის გაძარცვა, — ისინი ღებულობდნენ საუკეთესო ნაკვეთებს, ღარიბებისაგან იაფად ყიდულობდნენ ნადელებს.

მეფის მთავრობა კულაკებს მნიშვნელოვან სესხს აძლევდა მიწის შესასყიდად და ხუტორების მოსაწყობად. სტოლიპინს უნდოდა გადაექცია კულაკები პატარა მემამულეებად, მეფის თვითმპყრობელობის ერთგულ დამცველებად.

სულ რაღაც ცხრა წლის განმავლობაში (1906-დან 1915 წლამდე) თემიდან გამოიყო ორ მილიონზე მეტი სახლპატრონი.

სტოლიპინშჩინამ კიდევ უფრო გააუარესა მცირემიწიანი გლეხებისა და სოფლის ღარიბთა მდგომარეობა. გაძლიერდა გლეხობის ფენებად დაყოფა. დაიწყო გლეხთა შეტაკებანი კულაკ-მეხუტორეებთან.

ამასთან ერთად გლეხობა იწყებდა იმის შეგნებას, რომ იგი მემამულეთა მიწას ვერ მიიღებდა, სანამ არსებობს მეფის მთავრობა და მემამულურ-კადეტური სახელმწიფო სათათბირო.

გლეხთა მოძრაობა იმ წლებში, როცა ხუტორებად გამოყოფა გაძლიერდა (1907-1909), ჯერ ნელდებოდა, მაგრამ მალე, 1910-1911 წლებში და შემდეგ, მეხუტორეებთან თემელების შეტაკების ნიადაგზე ძლიერდება გლეხთა მოძრაობა მემამულეებისა და კულაკ-მეხუტორეთა წინააღმდეგ.

მრეწველობის დარგშიც რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მრეწველობის კონცენტრაცია, ესე-იგი მრეწველობის გამსხვილება და სულ უფროდაუფრო მსხვილი კაპიტალისტური ჯგუფების ხელში თავმოყრა, — მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე კაპიტალისტებმა იწყეს კავშირებად გაერთიანება, რათა აეწიათ საქონლის ფასები ქვეყნის შიგნით, ხოლო მიღებული ზემოგება გადაერიცხათ ექსპორტის წახალისების ფონდში იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაბალ ფასებში გაეტანათ საქონელი საგარეო ბაზრებზე და დაეპყროთ საგარეო ბაზრები. კაპიტალისტების ასეთი კავშირები, ასეთი გაერთიანებანი (მონოპოლიები) იწოდებოდნენ ტრესტებად და სინდიკატებად. რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული ტრესტებისა და სინდიკატების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. გადიდდა აგრეთვე მსხვილი ბანკების რაოდენობა და იზრდებოდა მათი როლი მრეწველობაში. იზრდებოდა უცხოეთის კაპიტალების მოზღვავება რუსეთში.

ამრიგად, კაპიტალიზმი რუსეთში სულ უფროდაუფრო ხდებოდა მონოპოლისტური, იმპერიალისტური კაპიტალიზმი.

მოდუნების რამდენიმე წლის შემდეგ მრეწველობა კვლავ გამოცოცხლდა. გაიზარდა ქვანახშირის ამოღება, ლითონის გამოდნობა, ნავთის მოპოვება, გადიდდა ქსოვილების, შაქრის წარმოება. ძლიერ გაიზარდა პურის გატანა საზღვარგარეთ.

თუმცა რუსეთმა ამ დროს ერთგვარი ნაბიჯი გადადგა წინ თავის მრეწველობაში, იგი მაინც კვლავ რჩებოდა დასავლეთ ევროპასთან შედარებით ჩამორჩენილ და უცხოეთის კაპიტალისტებისაგან დამოკიდებულ ქვეყნად. რუსეთში არ იყო შექმნილი მანქანებისა და დაზგების წარმოება — ისინი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. არ იყო აგრეთვე საავტომობილო მრეწველობა, არ იყო ქიმიური მრეწველობა, არ იყო მინერალურ სასუქთა წარმოება. იარაღის წარმოებაშიც რუსეთი ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

აღნიშნავდა რა ლითონის მოხმარების დაბალ დონეს რუსეთში, როგორც მისი ჩამორჩენილობის ნიშანს, ლენინი სწერდა:

„გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რკინის მოხმარება რუსეთში ერთიხუთად გაიზარდა, და მაინც რუსეთი რჩება წარმოუდგენლად, უმაგალითოდ ჩამორჩენილ, ღატაკ და ნახევრადველურ ქვეყნად, რომელიც წარმოების თანამედროვე იარაღებით აღჭურვილია ინგლისზე ოთხჯერ უფრო ცუდად, გერმანიაზე ხუთჯერ უფრო ცუდად, ამერიკაზე ათჯერ უფრო ცუდად" (**ლენინი**, ტ. XVI, გვ. 543).

რუსეთის სამეურნეო და პოლიტიკური ჩამორჩენილობის პირდაპირი შედეგი იყო როგორც რუსეთის კაპიტალიზმის, ისე თვითონ ცარიზმის დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმისაგან.

ეს გამოიხატებოდა იმით, რომ სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთი, ელექტრომრეწველობა, მეტალურგია, უცხოეთის კაპიტალის ხელში იყო, და მეფის რუსეთი იძულებული ხდებოდა თითქმის ყველა მანქანა, მთელი მოწყობილობა საზღვარგარეთიდან შემოეტანა.

ეს გამოიხატებოდა კაბალური საზღვარგარეთული სესხებით, რომელთა პროცენტების გადასახდელად ცარიზმი ყოველწლივ მრავალ ასეულ მილიონ მანეთს აცლიდა მოსახლეობას.

ეს გამოიხატებოდა საიდუმლო ხელშეკრულებებით „მოკავშირეებთან", ხელშეკრულებებით, რომელთა ძალით ცარიზმი ვალდებულებას კისრულობდა ომის შემთხვევაში მილიონობით რუსი ჯარისკაცები გაეყვანა იმპერიალისტურ ფრონტებზე „მოკავშირეების" დასახმარებლად და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტების უდიდეს მოგებათა უზრუნველსაყოფად.

სტოლიპინის რეაქციის წლები განსაკუთრებით განირჩეოდნენ ჟანდარმებისა და პოლიციელების, მეფის პროვოკატორებისა და შავრაზმელი მძარცველების ყაჩაღური თავდასხმებით მუშათა კლასზე. მაგრამ რეპრესიებით მუშებს მარტო მეფის ოპრიჩნიკები როდი ხდიდნენ სულს. ამ მხრივ მათ არ ჩამორჩებოდნენ მეფაბრიკეები და მექარხნეები, რომლებმაც განსაკუთრებით გააძლიერეს შეტევა მუშათა კლასზე მრეწველობის მოდუნებისა და უმუშევრობის ზრდის წლებში. მეფაბრიკეები აცხადებდნენ მუშების მასობრივ დათხოვნებს (ლოკაუტებს), იჩენდნენ „შავ წიგნებს", სადაც შეჰქონდათ შეგნებული მუშები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვებში. ამ „შავ წიგნში", ან „შავ სიაში" მოხვედრილთ სამუშაოზე არ ღებულობდნენ არცერთ საწარმოში, რომელიც კი მრეწველობის ამ დარგის მეფაბრიკეთა კავშირში შედიოდა. შეფასებანი უკვე 1908 წელს დაკლებულ იქნა 10 - 15 პროცენტით. სამუშაო დღე ყველგან 10-12 საათამდე გაადიდეს. კვლავ ფართოდ მიმართავდნენ მძარცველური ჯარიმების სისტემას.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციის თანამგზავრთა წრეში დაშლა და რღვევა გამოიწვია. განსაკუთრებით გაძლიერდა რღვევა და დაცემულობა ინტელიგენციაში. თანამგზავრები, რომლებიც რევოლუციის მჩქეფარე აღმავლობის პერიოდში მოვიდნენ ბურჟუაზიის წრიდან რევოლუციის რიგებში, ჩამოშორდნენ პარტიას რეაქციის დღეებში. მათი ნაწილი რევოლუციის აშკარა მტრების ბანაკში გადაბარგდა, ნაწილი კი მუშათა კლასის გადარჩენილ ლეგალურ საზოგადოებებში მოკალათდა და ცდილობდა გადაეცდინა პროლეტარიატი რევოლუციური გზიდან, ცდილობდა სახელი გაეტეხა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიისათვის. შორდებოდნენ რა რევოლუციას, თანამგზავრები ცდილობდნენ შეგუებოდნენ რეაქციას, შეთვისებოდნენ ცარიზმს.

მეფის მთავრობამ რევოლუციის დამარცხება გამოიყენა იმისათვის, რომ რევოლუციის ყველაზე უფრო მხდალი და თავკერძულად განწყობილი თანამგზავრები გადაებირებინა თავის აგენტებად — პროვოკატორებად. საზიზღარი იუდა - პროვოკატორები, რომლებსაც მეფის ოხრანკა აგზავნიდა მუშათა და პარტიულ ორგანიზაციებში, ჯაშუშობდნენ შიგნიდან და რევოლუციონერების გაცემას ეწეოდნენ.

კონტრრევოლუციის შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზეც სწარმოებდა. გაჩნდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ" და „აცამტვერებდნენ" მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას „პიროვნების კულტის" მომიზეზებით.

ფილოსოფიის დარგში გაძლიერდა მარქსიზმის „კრიტიკის", რევიზიის ცდები, აგრეთვე გაჩნდნენ ყოველგვარი რელიგიური მიმდინარეობანი, რომლებიც ვითომდა „მეცნიერულ" არგუმენტებს ეფარებოდნენ.

მარქსიზმის „კრიტიკა" მოდად იქცა.

ყველა ეს ვაჟბატონები, მიუხედავად მთელი მათი სიჭრელისა, ერთ საერთო მიზანს ისახავდნენ — ჩამოეშორებინათ მასები რევოლუციისაგან.

დაცემულობა და რწმენის უქონლობა შეეხნენ აგრეთვე იმ პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილს, რომლებიც თავის-თავს მარქსისტებად სთვლიდნენ, მაგრამ რომლებიც მტკიცედ არასოდეს არ მდგარან მარქსიზმის პოზიციებზე. მათ შორის იყვნენ ისეთი მწერლები, როგორც ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი (რომლებიც 1905 წელში ბოლშევიკებს ემხრობოდნენ), იუშკევიჩი, ვალენტინოვი (მენშევიკები). მათ გაშალეს „კრიტიკა" ერთსადაიმავე დროს მარქსიზმის ფილოსოფიურ-თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ, ესე-იგი დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ, და მისი მეცნიერულ-ისტორიული საფუძვლების წინააღმდეგ, ესე-იგი ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. ეს კრიტიკა ჩვეულებრივი კრიტიკისაგან იმით განირჩეოდა, რომ იგი სწარმოებდა არა აშკარად და პატიოსნად, არამედ შენიღბულად და თვალთმაქცურად მარქსიზმის ძირითადი პოზიციების „დაცვის" დროშით. ჩვენ, — ამბობდნენ ისინი, — ძირითადად მარქსისტები ვართ, მაგრამ გვინდა „გავაუმჯობესოთ" მარქსიზმი, გავათავისუფლოთ იგი ზოგიერთი ძირითადი დებულებისაგანო. ნამდვილად კი ისინი მტრობდნენ მარქსიზმს, ვინაიდან ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მარქსიზმის თეორიული საფუძვლებისათვის, თუმცა სიტყვით თვალთმაქცურად უარჰყოფდნენ თავის მტრობას მარქსიზმისადმი და ორგულურად თავის-თავს ისევ მარქსისტებს უწოდებდნენ. ასეთი თვალთმაქცური კრიტიკის საფრთხე იმაში მდგომარეობდა რომ იგი მიზნად ისახავდა რიგითი პარტიული მუშაკების მოტყუებას და შეეძლო შეცდომაში შეეყვანა ისინი. და რაც უფრო თვალთმაქცურად სწარმოებდა ეს კრიტიკა მარქსიზმის თეორიული საფუძვლებისათვის ძირის გამოსათხრელად, მით უფრო საშიში ხდებოდა იგი პარტიისათვის, ვინაიდან მით უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა იგი რეაქციის საერთო ლაშქრობას პარტიის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ. ნაწილი იმ ინტელიგენტებისა, რომლებიც მარქსიზმს ჩამოშორდნენ, იქამდი მივიდა, რომ იწყო ახალი რელიგიის შექმნის საჭიროების ქადაგება (ეგრეთწოდებული „ღვთისმაძიებლები" და „ღვთისმშენებლები").

მარქსისტების წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა — საკადრისი პასუხი გაეცათ ამ გადაგვარებულთათვის მარქსიზმის თეორიის დარგში, ჩამოეგლიჯათ მათთვის ნიღაბი, გამოემჟღავნებინათ ისინი ბოლომდე და, ამგვარად, დაეცვათ მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები.

შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ამ ამოცანის შესრულებას ხელს მოჰკიდებენ პლეხანოვი და მისი მენშევიკი მეგობრები, რომლებიც თავის თავს „მარქსიზმის ცნობილ თეორეტიკოსებად" სთვლიდნენ. მაგრამ მათ ამჯობინეს დაკმაყოფილებულიყვნენ ფელეტონურ-კრიტიკული ხასიათის ორიოდე უმნიშვნელო სტატიის დაწერით და შემდეგ ბუჩქებში მიმალულიყვნენ.

ეს ამოცანა შეასრულა ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელიც 1909 წელს გამოვიდა.

„ნახევარი წელიც არ არის, სწერდა ლენინი ამ წიგნში, რაც გამოვიდა ოთხი წიგნი, მიძღვნილი უმთავრესად და თითქმის მთლიანად დიალექტიკურ მატერიალიზმზე თავდასხმისადმი. ამას უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის „ნარკვევები მარქსიზმის ფილოსოფიიდან" (? უკეთესი იყო გვეთქვა: წინააღმდეგ), სანკტ-პეტერბურგი, 1908, ბაზაროვის, ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, ბერმანის, გელფონდის, იუშკევიჩის, სუვოროვის სტატიათა კრებული; შემდეგ წიგნები: იუშკევიჩის — „მატერიალიზმი და კრიტიკული რეალიზმი", ბერმანის — „დიალექტიკა შეცნობის თანამედროვე თეორიის თვალსაზრისით", ვალენტინოვის — „მარქსიზმის ფილოსოფიური წყობა"... ყველა ეს პირნი, — პოლიტიკურ შეხედულებათა მკვეთრი განსხვავების მიუხედავად — დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ მტრობით გაერთიანებულნი, ამავე დროს პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ისინი ფილოსოფიაში მარქსისტები არიან! ენგელსის დიალექტიკა „მისტიკაა", — ამბობს ბერმანი, ენგელსის შეხედულებანი „მოძველდა" — გზადაგზა, ისე როგორც რაღაც თავის-თავად ნაგულისხმევს, ამბობს ბაზაროვი, — მატერიალიზმი უარყოფილია ჩვენი გაბედული მეომრების მიერ, რომლებიც ამაყად მიუთითებენ „შეცნობის თანამედროვე თეორიაზე", „უახლეს ფილოსოფიაზე" (ან „უახლეს პოზიტივიზმზე"), „თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაზე" ანდა „XX საუკუნის ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაზე" (**ლენინი**, ტ. XIII, გვ. 11).

უპასუხებდა რა ლუნაჩარსკის, რომელიც თავისი მეგობრების — ფილოსოფიაში რევიზიონისტების გასამართლებლად ამბობდა: „შეიძლება ჩვენ ვცდებით, მაგრამ ვეძებთ", — ლენინი სწერდა:

„რაც შემეხება მე, მეც „მაძებარი ვარ" ფილოსოფიაში. სახელდობრ: ამ შენიშვნებში (ლაპარაკია წიგნზე „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", — **რედ.**) მე ამოცანად დავისახე მოვძებნო, თუ რაზე შეიშალნენ ის ადამიანები, რომლებიც ვითომდა მარქსიზმის სახით რაღაც საშინლად აწეწილს, აბნეულს და რეაქციულს გვთავაზობენ". (იქვე, გვ. 12).

მაგრამ სინამდვილეში ლენინის წიგნი ძალიან შორს გასცილდა ამ თავმდაბალი ამოცანის ჩარჩოებს. და მართლაც, ლენინის წიგნი როდი წარმოადგენს მარტო კრიტიკას ბოგდანოვისა, იუშკევიჩისა, ბაზაროვისა, ვალენტინოვისა და მათი ფილოსოფოსი მასწავლებლების, — ავენარიუსისა და მახისა, რომლებიც ცდილობდნენ თავის ნაწარმოებებში მოეცათ შელამაზებული იდეალიზმი — მარქსისტული მატერიალიზმის დასაპირისპირებლად. ლენინის წიგნი ამასთან ერთად წარმოადგენს მარქსიზმის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — თეორიული საფუძვლების დაცვას და იმის ყოველივე მნიშვნელოვანისა და არსებითის მატერიალისტურ განზოგადებას, რაც მეცნიერებას და, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისმეტყველებას შეუძენია მთელ ისტორიულ პერიოდში, ენგელსის გარდაცვალებიდან იმ დრომდე, როდესაც გამოვიდა ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

გააკრიტიკა რა, როგორც რიგი და წესია, რუსი ემპირიოკრიტიკოსები და მათი უცხოელი მასწავლებლები, ლენინი თავის წიგნში მიდის შემდეგ დასკვნებამდე ფილოსოფიურ-თეორიული რევიზიონიზმის წინააღმდეგ:

1). „მარქსიზმის სულ უფროდაუფრო ოსტატური ფალსიფიკაცია, ანტიმატერიალისტურ მოძღვრებათა სულ უფროდაუფრო ოსტატურად მოცემა მარქსიზმის სახით, — აი რა ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს პოლიტიკურ ეკონომიაშიც, ტაქტიკის საკითხებშიც და ფილოსოფიაშიც საერთოდ" (იქვე, გვ. 270);

2) „მახისა და ავენარიუსის მთელი სკოლა იდეალიზმისაკენ მიდის" (იქვე, გვ. 291);

3) „ჩვენი მახისტები ყველანი იდეალიზმში ჩაეფლნენ" (იქვე, გვ. 282);

4) „ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის მიღმა არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიების ბრძოლა ფილოსოფიაში, ბრძოლა, რომელიც საბოლოო ჯამში გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას". (იქვე, გვ. 292);

5) „ემპირიოკრიტიციზმის ობიექტიური, კლასობრივი როლი მთლიანად განისაზღვრება ფიდეისტებისათვის (რეაქციონერები, რომლებიც მეცნიერების წინაშე რწმენას აძლევენ უპირატესობას.—**რედ.**) სამსახურის გაწევით მათს ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ საერთოდ და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ კერძოდ". (იქვე, გვ. 292);

6) „ფილოსოფიური იდეალიზმი არის... **გზა ხუცობისაკენ**" (იქვე, გვ. 304).

იმისათვის, რომ შევაფასოთ ლენინის წიგნის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პარტიის ისტორიაში და გავიგოთ — თუ რა თეორიული სიმდიდრე დაიცვა ლენინმა სტოლიპინის რეაქციის პერიოდის ყველა და ყოველგვარი რევიზიონისტებისა და გადაგვარებულების წინააღმდეგ, საჭიროა მოკლედ მაინც გავეცნოთ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლებს.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენენ კომუნიზმის თეორიულ საძირკველს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძვლებს, ხოლო ამ საფუძვლების ცოდნა და, მაშასადამე, მათი შეთვისება წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყოველი აქტიური მოღვაწის მოვალეობას.

ამრიგად:

1) რა არის დიალექტიკური მატერიალიზმი?

2) რა არის ისტორიული მატერიალიზმი?

2. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ

დიალექტიკური მატერიალიზმი არის მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა. მას დიალექტიკური მატერიალიზმი იმიტომ ეწოდება, რომ მისი მიდგომა ბუნების მოვლენებისადმი, ბუნების მოვლენების შესწავლის მისი მეთოდი, ამ მოვლენების შეცნობის მისი მეთოდი წარმოადგენს **დიალექტიკურს**, ხოლო ბუნების მოვლენების მისი განმარტება, ბუნების მოვლენების მისი გაგება, მისი თეორია — **მატერიალისტურს**.

ისტორიული მატერიალიზმი არის დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა შეფარდება საზოგადოების ცხოვრების მოვლენებისადმი, საზოგადოების შესწავლისადმი, საზოგადოების ისტორიის შესწავლისადმი.

ახასიათებენ რა თავის დიალექტიკურ მეთოდს, მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ჰეგელზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც ჩამოაყალიბა დიალექტიკის ძირითადი თვისებები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკა ისეთივეა, როგორც ჰეგელის დიალექტიკა. და მართლაც, მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის დიალექტიკიდან აიღეს მხოლოდ მისი „რაციონალური მარცვალი", ჩამოაშორეს ჰეგელის იდეალისტური ჩენჩო და კიდევ უფრო განავითარეს იგი, რათა მიეცათ მისთვის თანამედროვე მეცნიერული სახე.

„ჩემი დიალექტიკური მეთოდი, ამბობს მარქსი, თავის საფუძველში არამარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი ხდის, არის სინამდვილის დემიურგი (შემოქმედი), რომელიც მხოლოდ მის გარეგან გამოხატულებას შეადგენს. ჩემთვის, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი". (**კ. მარქსი**. 1934 წლის გამოცემის „კაპიტალის" I ტომის წინასიტყვაობა).

ახასიათებენ რა თავის მატერიალიზმს, მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ფეიერბახზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც აღადგინა მატერიალიზმი თავის უფლებებში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი ისეთივეა, როგორც ფეიერბახის მატერიალიზმი. და მართლაც, მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალიზმიდან აიღეს მისი „ძირითადი მარცვალი", კიდევ უფრო განავითარეს იგი მატერიალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიურ თეორიად და ჩამოაშორეს მას მისი იდეალისტური და რელიგიურ - ეთიკური დანაშრევები. ცნობილია, რომ ფეიერბახი, რომელიც ძირითადად მატერიალისტი იყო, ილაშქრებდა სახელწოდების — მატერიალიზმის წინააღმდეგ. ენგელსი არაერთხელ აცხადებდა, რომ ფეიერბახი „მატერიალისტური საფუძვლის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი იდეალისტური ბორკილებისაგან", რომ „ფეიერბახის ნამდვილი იდეალიზმი თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი ჩვენ მივუდგებით მის ეთიკასა და რელიგიის ფილოსოფიას" (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, ტ. XIV, გვ. 652-654).

დიალექტიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „დიალეგო", რაც ნიშნავს საუბარს, პოლემიკას. ძველად დიალექტიკას ქვეშ გულისხმობდნენ იმის ოსტატობას, რომ მიეღწიათ ჭეშმარიტებისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში წინააღმდეგობათა გამოაშკარავებისა და ამ წინააღმდეგობათა გადალახვის გზით. ძველად ზოგიერთი ფილოსოფოსი ჰფიქრობდა, რომ წინააღმდეგობათა ამოჩენა აზროვნებაში და ურთიერთ საწინააღმდეგო აზრების შეჯახება წარმოადგენს ჭეშმარიტების ამოჩენის საუკეთესო საშუალებას. აზროვნების ეს დიალექტიკური საშუალება, რაც შემდეგ ბუნების მოვლენებზე გავრცელდა, გადაიქცა ბუნების შეცნობის დიალექტიკურ მეთოდად, რომელიც ბუნების მოვლენებს იხილავდა, როგორც მუდამ მოძრავსა და ცვალებადს, ხოლო ბუნების განვითარებას, — როგორც ბუნებაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგს, როგორც ბუნებაში ურთიერთ საწინააღმდეგო ძალების ურთიერთმოქმედების შედეგს.

თავის საფუძველში დიალექტიკა მეტაფიზიკის პირდაპირ საწინააღმდეგოა.

1) მარქსისტულ დიალექტიკურ **მეთოდს** ახასიათებს შემდეგი ძირითადი თვისებები:

ა) მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც საგნების, მოვლენების შემთხვევით თავმოყრას, ერთმანეთისაგან მოწყვეტილს, ერთმანეთისაგან იზოლირებულს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს, — არამედ როგორც შეკავშირებულს, ერთიან მთლიანს, სადაც საგნები, მოვლენები ორგანიულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი სთვლის, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით, გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უაზრობად გადაიქცეს, თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან თავის განუწყვეტელ კავშირში, მისი გარემო მოვლენებისაგან მის განპირობებაში.

ბ) მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც მყუდროებისა და უმოძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობას, არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილების, განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ მოვლენები განხილულ იქნას არა მარტო მათი ურთიერთკავშირისა და განპირობებულობის თვალსაზრისით, არამედ მათი მოძრაობის, მათი ცვლილების, მათი განვითარების თვალსაზრისითაც, მათი წარმოშობისა და კვდომის თვალსაზრისით.

დიალექტიკური მეთოდისათვის უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშვება და ვითარდება თუნდაც იგი ახლანდელ მომენტში არამტკიცედ გამოიყურებოდეს, ვინაიდან მის მიხედვით დაუძლეველია მხოლოდ ის, რაც წარმოიშვება და ვითარდება.

„მთელი ბუნება, ამბობს ენგელსი, დაწყებული მისი უწვრილესი ნაწილაკებით მის უდიდეს სხეულებამდე, დაწყებული ნამცეცით და გათავებული მზით, დაწყებული პროტისტით (პირველადი ცოცხალი უჯრედი.—**რედ.**) და გათავებული ადამიანით, იმყოფება მუდმივ წარმოშობასა და მოსპობაში, განუწყვეტელ მდინარებაში, დაუღალავ მოძრაობასა და ცვლილებაში" (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, ტ. XIV, გვ. 484).

ამიტომ, ამბობს ენგელსი, დიალექტიკა „იღებს საგნებს და მათს გონებრივ ასახვას უმთავრესად მათს ურთიერთ კავშირში, მათს გადაბმაში, მათს მოძრაობაში, მათს წარმოშობასა და გაქრობაში". (იქვე, გვ. 23).

გ) მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ დიალექტიკა განვითარების პროცესს იხილავს არა მარტო როგორც ზრდის უბრალო პროცესს, სადაც რიცხვობრივი ცვლილებანი არ იწვევენ ხარისხობრივ ცვლილებებს, — არამედ როგორც ისეთს განვითარებას, რომელიც უმნიშვნელო და მალული რიცხვობრივი ცვლილებებიდან გადადის აშკარა ცვლილებებზე, რადიკალურ ცვლილებებზე, ხარისხობრივ ცვლილებებზე. სადაც ხარისხობრივი ცვლილებანი თანდათანობით კი არ იწყება, არამედ სწრაფად, უეცრად, ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე ნახტომისებური გადასვლის სახით, იწყება არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად, იწყება შეუმჩნეველი და თანდათანობითი რიცხვობრივი ცვლილებების დაგროვების შედეგად.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი სთვლის, რომ განვითარების პროცე-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

გაგრძელება

ნი უნდა შევიგნოთ არა როგორც მოძრაობა წრის გარშემო, არა როგორც განვლილის უბრალო განმეორება, არამედ როგორც მოძრაობა წინსვლით, როგორც მოძრაობა აღმავალი ხაზით, როგორც გადასვლა ძველი ხარისხობრივი მდგომარეობიდან ახალ ხარისხობრივ მდგომარეობაზე, როგორც განვითარება მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან მაღლისაკენ.

„ბუნება, ამბობს ენგელსი, არის დიალექტიკის სასინჯი ქვა და თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ, რომელმაც ამ სინჯისათვის მოგვცა უაღრესად მდიდარი მასალა, რაც დღითი-დღე მატულობს, ამით დაამტკიცა, რომ ბუნებაში, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ხდება დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად, რომ იგი მოძრაობს არა ყოველთვის ერთგვარ წრეში, რომელიც მუდამ კვლავ მეორდება, არამედ განიცდის ნამდვილ ისტორიას. აქ უწინარეს ყოვლისა საჭიროა მივუთითოთ დარვინზე, რომელმაც უძლიერესი ლახვარი ჩასცა ბუნებაზე მეტაფიზიკურ შეხედულებას, დაამტკიცა რა, რომ მთელი თანამედროვე ორგანიული სამყარო, მცენარეები და ცხოველები, ხოლო, მაშასადამე, ადამიანიც, არის პროდუქტი განვითარების პროცესისა, რაც მილიონი წლობით გრძელდება“ (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, ტ. XIV, გვ. 23).

ახასიათებს რა დიალექტიკურ განვითარებას, როგორც რიცხვობრივი ცვლილებებიდან ხარისხობრივ ცვლილებებზე გადასვლას, ენგელსი ამბობს:

„ფიზიკაში... ყოველი ცვლილება არის რაოდენობის გადასვლა ხარისხში — შედეგი რიცხვობრივი ცვლილებისა, რაც სხეულს ახასიათებს, ან რომელიმე ფორმის მოძრაობის მისთვის გადაცემული რაოდენობისა. ასე, მაგალითად, წყლის ტემპერატურას პირველ ხანებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისი წვეთობრივ-თხევადი მდგომარეობის მიმართ; მაგრამ თხევადი წყლის ტემპერატურის გადიდების ან შემცირებისას დგება მომენტი, როდესაც შეკავშირების ეს მდგომარეობა იცვლება და წყალი გადაიქცევა ხოლმე ერთ შემთხვევაში ორთქლად, მეორე შემთხვევაში — ყინულად... ასე, საჭიროა დენის ძალის განსაზღვრული მინიმუმი, რომ პლატინის მავთულმა იწყოს შუქის მოცემა; ასე, თვითეულ ლითონს აქვს დნობის თავისი სითბო; ასე, ყოველ სითხეს აქვს თავისი განსაზღვრული, მოცემული წნევის დროს, გაყინვისა და დუღილის წერტილი — რამდენადაც ჩვენ ჩვენი საშუალებებით შეგვიძლია მივაღწიოთ სათანადო ტემპერატურას; ასე, ბოლოს, ყოველ გაზს აქვს კრიტიკული წერტილი, რომლის დროსაც სათანადო წნევითა და გაცივებით შეიძლება მოვიყვანოთ იგი თხევად მდგომარეობაში... ფიზიკის ეგრეთწოდებული კონსტანტები (ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის წერტილები. — **რედ.**) მეტწილად არის სხვა არაფერი, თუ არა საკვანძო წერტილების სახელწოდება, სადაც მოძრაობის რიცხვობრივი (ცვლილება) მატება ან კლება იწვევს ხარისხობრივ ცვლილებას სათანადო სხეულის მდგომარეობაში, — სადაც, მაშასადამე, რაოდენობა გადადის ხარისხში“ (იქვე, გვ. 527-528).

გადადის რა შემდეგ ქიმიაზე, ენგელსი განაგრძობს:

„ქიმიას შეიძლება ვუწოდოთ სხეულების იმ ხარისხობრივ ცვლილებათა მეცნიერება, რომლებიც რიცხვობრივი შემადგენლობის ცვლილების გავლენით ხდება. ეს უკვე იცოდა თვით ჰეგელმა... ავიღოთ ჟანგბადი: თუ აქ მოლეკულად შეერთებულია სამი ატომი და არა ორი, როგორც ჩვეულებრივ, მაშინ ჩვენ ვღებულობთ ოზონს — სხეულს, რომელიც თავისი სუნითა და მოქმედებით გარკვეულად განსხვავდება ჩვეულებრივი ჟანგბადისაგან. ხოლო რა შეიძლება ითქვას სხვადასხვა პროპორციებზე, რომლებშიაც ჟანგბადი უერთდება აზოტს ან გოგირდს და რომელთაგან თვითეული იძლევა სხეულს, რომელიც ხარისხობრივად განსხვავდება ყველა სხვა სხეულებისაგან!“ (იქვე, გვ. 528).

ბოლოს, აკრიტიკებს რა დიურინგს, რომელიც საშინლად ლანძღავს ჰეგელს და იქვე ჩუმ-ჩუმად სესხულობს მისგან ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ უგრძნობი სამყაროს სამეფოდან შეგრძნების სამეფოში, არაორგანიული სამყაროს სამეფოდან ორგანიული ცხოვრების სამეფოში გადასვლა — ეს არის, ნახტომი ახალ მდგომარეობაში, ენგელსი ამბობს:

„ეს ხომ ზომის თანაფარდობათა ჰეგელისეული საკვანძო ხაზია, სადაც წმინდა რაოდენობრივი გადიდება ან შემცირება იწვევს განსაზღვრულ საკვანძო პუნქტებში **ხარისხობრივ ნახტომს**, როგორც, მაგალითად, წყლის გათბობის ან გაცივების შემთხვევაში, სადაც დუღილისა და გაყინვის წერტილები წარმოადგენენ იმ კვანძებს, რომლებშიაც ხდება — ნორმალური წნევის პირობებში — ნახტომი ახალ აგრეგატულ მდგომარეობაში, სადაც, მაშასადამე, რაოდენობა თვისობრივობაში გადადის“ (იქვე, გვ. 45-46).

დ) წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა გამოდის იქიდან, რომ ბუნების საგნებს, ბუნების მოვლენებს ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობანი, ვინაიდან ყველა ამ საგნებსა და მოვლენებს აქვთ თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, თავისი წარსული და მომავალი, აქვთ ის, რაც კვდება, და ის, რაც ვითარდება, რომ ამ წინააღმდეგობათა ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და განვითარებადს შორის, შეადგენს განვითარების პროცესის შინაგან შინაარსს, რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივობით ცვლილებებად გადაქცევის შინაგან შინაარსს.

ამიტომ, დიალექტიკური მეთოდის მიხედვით, დაბლიდან უმაღლესისაკენ განვითარების პროცესი მოვლენათა ჰარმონიული გაშლის წესით კი არ მიმდინარეობს, არამედ იმ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, რომლებიც ახასიათებს საგნებს, მოვლენებს, ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე მომქმედ ურთიერთ საწინააღმდეგო ტენდენციათა „ბრძოლის“ წესით.

„საკუთრივი აზრით დიალექტიკა, ამბობს ლენინი, არის **საგანთა თვით დედაარსში არსებულ** წინააღმდეგობათა შესწავლა“ (ლენინი, „ფილოსოფიური რვეულები“, გვ. 263).

და შემდეგ:

„განვითარება არის წინააღმდეგობათა „ბრძოლა“ (ლენინი, ტ. XIII, გვ. 301).

ასეთია მოკლედ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური მეთოდის დებულებათა გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიის, პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხებში.

თუ სამყაროში არ არსებობს იზოლირებული მოვლენები, თუ ყველა მოვლენები დაკავშირებულია ერთმანეთთან და განაპირობებს ერთმანეთს, ცხადია, რომ ყოველი საზოგადოებრივი წყობილება და ისტორიაში არსებული ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა შეფასებულ უნდა იქნას არა „მარადიული სამართლიანობის“ ან რაიმე სხვა წინასწარ შემუშავებული იდეის თვალსაზრისით, როგორც ამას ხშირად სჩადიან ისტორიკოსები, არამედ იმ პირობების თვალსაზრისით, რომლებმაც წარმოშვეს ეს წყობილება და ეს საზოგადოებრივი მოძრაობა და რომლებთანაც ისინი დაკავშირებული არიან.

მონათმფლობელური წყობილება თანამედროვე პირობებისათვის უაზრობაა, ანტიბუნებრივი სისულელე. მონათმფლობელური წყობილება ლპობადი პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში სავსებით გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან იგი მოასწავებს ნაბიჯს წინ პირველყოფილ-თემურ წყობილებასთან შედარებით.

ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა ცარიზმისა და ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობის პირობებში, ვთქვათ, 1905 წელს რუსეთში სავსებით გასაგები, მართებული და რევოლუციური მოთხოვნა იყო, ვინაიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკა მაშინ მოასწავებდა ნაბიჯს წინ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა ჩვენი ახლანდელი პირობებისათვის სსრ კავშირში არის უაზრო და კონტრრევოლუციური მოთხოვნა, ვინაიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით არის ნაბიჯი უკან.

ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე.

გასაგებია, რომ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ასეთი **ისტორიული** მიდგომის გარეშე შეუძლებელია არსებობა და განვითარება მეცნიერებისა ისტორიის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ ასეთი მიდგომა იხსნის ისტორიულ მეცნიერებას შემთხვევითობათა ქაოსად და ყოვლად უაზრო შეცდომათა გროვად მისი გადაქცევისაგან.

შემდეგ. თუ სამყარო განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაშია, თუ ძველის კვდომა და ახლის ზრდა წარმოადგენს განვითარების კანონს, ცხადია, რომ აღარ არიან „შეურყეველი“ საზოგადოებრივი წესები, კერძო საკუთრებისა და ექსპლუატაციის „მარადიული პრინციპები“, მემამულეებისადმი გლეხების, კაპიტალისტებისადმი მუშების დამორჩილების „მარადიული იდეები“.

მაშასადამე კაპიტალისტური წყობილება შეიძლება შეცვლილ იქნას სოციალისტური წყობილებით, ისევე, როგორც კაპიტალისტურმა წყობილებამ შესცვალა თავის დროზე ფეოდალური წყობილება.

მაშასადამე, ორიენტირება უნდა ავიღოთ საზოგადოების არა იმ ფენებზე, რომლებიც აღარ ვითარდებიან, თუმცა ამჟამად უპირატეს ძალას წარმოადგენენ, არამედ იმ ფენებზე, რომლებიც ვითარდებიან, რომლებსაც მომავალი აქვთ, თუმცა ამჟამად უპირატეს ძალას არ წარმოადგენენ.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ნაროდნიკებთან მარქსისტების ბრძოლის ეპოქაში, პროლეტარიატი რუსეთში უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა ერთპიროვნულ გლეხობასთან შედარებით, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა. მაგრამ პროლეტარიატი ვითარდებოდა, როგორც კლასი, მაშინ როცა გლეხობა, როგორც კლასი, ირღვეოდა. და სწორედ იმიტომ, რომ პროლეტარიატი ვითარდებოდა, როგორც კლასი, მარქსისტებმა ორიენტაცია აიღეს პროლეტარიატზე. და ისინი არ შემცდარან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, შემდეგ პროლეტარიატი უმნიშვნელო ძალიდან გაიზარდა პირველხარისხოვან ისტორიულ და პოლიტიკურ ძალად.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, წინ უნდა იცქირებოდე, და არა უკან.

შემდეგ. თუ ნელ რაოდენობრივ ცვლილებათა სწრაფ და უეცარ თვისობრივ ცვლილებებად გადასვლა განვითარების კანონს შეადგენს, ცხადია, რომ რევოლუციური გადატრიალებანი, რომლებსაც ჩაგრული კლასები ახდენენ, სავსებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენენ.

მაშასადამე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა და კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება განხორციელებულ იქნას არა ნელი ცვლილებების გზით, არა რეფორმების გზით, არამედ კაპიტალისტური წყობილების მხოლოდ თვისობრივი შეცვლის გზით, რევოლუციის გზით.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, რევოლუციონერი უნდა იყო, და არა რეფორმისტი.

შემდეგ. თუ განვითარება სწარმოებს შინაგან წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა ბაზაზე ურთიერთ საწინააღმდეგო ძალთა შეჯახების წესით, იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ეს წინააღმდეგობანი, ცხადია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სავსებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენს.

მაშასადამე, კი არ უნდა ვაფუჩეჩებდეთ კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, არამედ უნდა ვააშკარავებდეთ და ამოვხსნიდეთ მათ, კი არ უნდა ვაქრობდეთ კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგვყავდეს იგი.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, უნდა გაატარო შეურიგებელი კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა, და არა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ჰარმონიის რეფორმისტული პოლიტიკა, და არა სოციალიზმში კაპიტალიზმის „შეზრდის“ შეთანხმებლური პოლიტიკა.

ასეთია საქმის ვითარება მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის მხრივ, თუ მას ავიღებთ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი შეფარდებით, საზოგადოების ისტორიისადმი შეფარდებით.

რაც შეეხება მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, იგი თავის საფუძველში პირდაპირ ეწინააღმდეგება ფილოსოფიურ იდეალიზმს.

2) მარქსისტული ფილოსოფიური **მატერიალიზმი** შემდეგი ძირითადი თვისებებით ხასიათდება:

ა) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელსაც სამყარო მიაჩნია „აბსოლუტური იდეის“, „მსოფლიო სულის“, „ცნობიერების“ განსახიერებად, — მარქსის ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო თავისი ბუნებით **მატერიალურია**, რომ სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენანი წარმოადგენენ მოძრავი მატერიის სხვადასხვა სახეებს, რომ მოვლენათა ურთიერთ კავშირი და ურთიერთ განპირობებულობა, რომლებსაც დიალექტიკური მეთოდი არკვევს, წარმოადგენენ მოძრავი მატერიის განვითარების კანონზომიერებებს, რომ სამყარო ვითარდება მატერიის მოძრაობის კანონების მიხედვით და მას არავითარი „სამყაროს სული“ არ ესაჭიროება.

„მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ამბობს ენგელსი, მოასწავებს მხოლოდ ბუნების გაგებას ისე, როგორც იგი არსებობს, ყოველგვარ უცხო დამატებათა გარეშე“ (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, ტ. XIV, გვ. 651).

ეხება რა ძველი ფილოსოფოსის — ჰერაკლიტეს მატერიალისტურ შეხედულებას, რომლის მიხედვით „სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, შექმნილი არ არის არცერთი ღმერთისაგან და არცერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად აინთება და კანონზომიერად ჰქრება“, — ლენინი ამბობს: ეს „დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა“ (**ლენინი**. „ფილოსოფიური რვეულები“, გვ. 318).

ბ) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც აცხადებს, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნობიერება, რომ მატერიალური სამყარო, ყოფიერება, ბუნება არსებობს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს შეგრძნებებში, წარმოდგენებში, ცნებებში, — მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ მატერია, ბუნება, ყოფიერება წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად, რომ მატერია პირველადია, ვინაიდან იგი წარმოადგენს შეგრძნებათა, წარმოდგენათა, ცნობიერების წყაროს, ცნობიერება კი მეორადია, წარმოებულია, ვინაიდან იგი წარმოადგენს მატერიის ასახვას, ყოფიერების ასახვას, რომ აზროვნება არის პროდუქტი მატერიისა, რომელმაც თავის განვითარებაში მიაღწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ — ეს არის ტვინის პროდუქტი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანოა, რომ ამიტომ არ შეიძლება აზროვნების ჩამოცილება მატერიისაგან, თუ არ გვინდა უხეში შეცდომა ჩავიდინოთ.

„მთელი ფილოსოფიის უმაღლესი საკითხი, ამბობს ენგელსი, **არის საკითხი აზროვნების დამოკიდებულებისა ყოფიერებისადმი**, სულისა ბუნებისადმი... ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ იმის შესაბამისად, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ კითხვას. იმათ, ვინც ამტკიცებდა, რომ სული ბუნებაზე უფრო ადრე არსებობდა... შეადგინეს **იდეალისტური** ბანაკი. ხოლო ისინი, ვისაც ძირითად საწყისად ბუნება მიაჩნდა, მიემხრნენ **მატერიალიზმის** სხვადასხვა სკოლებს“ (**კ. მარქსი**. რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 329).

და შემდეგ:

„ნივთიერი სამყარო, რომელსაც გრძნობებით აღვიქვამთ და რომელსაც თვითონ ჩვენ ვეკუთვნით, არის ერთადერთი რეალური სამყარო... ჩვენი შეგნება და აზროვნება, რაგინდ ზეგრძნობადიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, წარმოადგენს ნივთიერი სხეულებრივი ორგანოს პროდუქტს, ტვინის პროდუქტს. მატერია არ არის სულის პროდუქტი, თვით სული კი არის მხოლოდ უმაღლესი პროდუქტი მატერიისა“ (**კ. მარქსი**. რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 332).

ეხება რა მატერიისა და აზროვნების საკითხს, ენგელსი ამბობს:

„**არ შეიძლება ჩამოვაშოროთ აზროვნება მატერიას, რომელიც აზროვნებს.** მატერია ყველა ცვლილებათა სუბიექტს წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 302).

ახასიათებს რა მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, ლენინი ამბობს:

„მატერიალიზმი საერთოდ სცნობს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), ცნობიერებისაგან, შეგრძნებისაგან, ცდისაგან დამოუკიდებელს... ცნობიერება... არის მხოლოდ ყოფიერების ასახვა, უკეთეს შემთხვევაში მისი დაახლოვებით სწორი (ადექვატური, იდეალურად ზუსტი) ასახვა“ (**ლენინი**, ტ. XIII, გვ. 266—267).

და შემდეგ:

ა) „მატერია არის ის, რაც, მოქმედებს რა ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე, იწვევს შეგრძნებას; მატერია არის ობიექტური რეალობა, ჩვენთვის შეგრძნებაში მოცემული... მატერია, ბუნება, ყოფიერება, ფიზიკური არის პირველადი, ხოლო სული, ცნობიერება, შეგრძნება, ფსიქიური — მეორადი“ (ლენინი, ტ. XIII, გვ. 119—120).

ბ) „სამყაროს სურათი არის სურათი იმისა, თუ როგორ მოძრაობს მატერია და როგორ „**აზროვნებს მატერია**“ (იქვე, გვ. 288).

გ) „ტვინი აზრის ორგანოს წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 125).

გ) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც სადავოს ხდის სამყაროს და მის კანონზომიერებათა შეცნობის შესაძლებლობას, არ სწამს, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა, არ სცნობს ობიექტურ ჭეშმარიტებას, და სთვლის, რომ სამყარო აღსავსეა „ნივთებით თავისთავად“, რომლებიც არასოდეს არ შეიძლება შეცნობილ იქნან მეცნიერების მიერ, — მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილნი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით.

აკრიტიკებს რა კანტისა და სხვა იდეალისტთა დებულებას შესახებ სამყაროს შეუცნობლობისა და შეუცნობადი „ნივთებისა თავისთავად“, და იცავს რა მატერიალიზმის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა, ენგელსი სწერს:

„ხოლო ყველაზე გადამწყვეტი უარყოფა ამ, ისევე როგორც ყველა სხვა, ფილოსოფიური მანჭვისა მდგომარეობს პრაქტიკაში, სახელდობრ ექსპერიმენტში და მრეწველობაში. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ბუნების მოცემული მოვლენის ჩვენი გაგების სისწორე იმით, რომ ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ მას, გამოგვყავს იგი მისი პირობებიდან, ამასთან ვაიძულებთ მას ემსახუროს ჩვენს მიზნებს, კანტის უჩინარ „ნივთს თავისთავად“, ბოლო ელება. ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც ცხოველთა და მცენარეთა სხეულებში იქმნებიან, რჩებოდნენ ასეთ „ნივთებად თავისთავად“, ვიდრე ორგანულმა ქიმიამ არ დაიწყო მათი ერთიმეორეზე მიყოლებით დამზადება; ამით „ნივთი თავისთავად“ იქცეოდა ნივთად ჩვენთვის, როგორც, მაგალითად, ალიზარინი, ენდროს საღებავი ნივთიერება, რასაც ჩვენ ახლა ვღებულობთ არა მინდვრად მოყვანილი ენდროს ფესვებიდან, არამედ გაცილებით უფრო იაფად და მარტივად ქვანახშირის კუპრიდან. მზის სისტემა კოპერნიკისა სამასი წლის განმავლობაში რჩებოდა ჰიპოთეზად, უაღრესად შესაძლებელ, მაგრამ მაინც ჰიპოთეზად. ხოლო როდესაც ლევერიემ, ამ სისტემის მონაცემების საფუძველზე, არა მარტო დაამტკიცა, რომ უნდა არსებობდეს კიდევ ერთი, მანამდე უცნობი, პლანეტა, არამედ კიდეც განსაზღვრა გამოანგარიშების საშუალებით ის ადგილი, რომელიც ამ პლანეტას ცის სივრცეში უჭირავს, და როდესაც ამის შემდეგ ჰალემ მართლაც აღმოაჩინა ეს პლანეტა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცებულ იქნა“ (კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებები“, ტ. I, გვ. 330).

ბრალსა სდებს რა ბოგდანოვს, ბაზაროვს, იუშკევიჩს და მახის სხვა მომხრეებს ფიდეიზმში და იცავს რა მატერიალიზმის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი მეცნიერული ცოდნა ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა შესახებ სარწმუნოა, რომ მეცნიერების კანონები ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ, ლენინი ამბობს:

„თანამედროვე ფიდეიზმი სრულებითაც არ უარჰყოფს მეცნიერებას; იგი უარჰყოფს მეცნიერების მხოლოდ „გადამეტებულ პრეტენზიებს“, სახელდობრ ობიექტური ჭეშმარიტების პრეტენზიას. თუ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება (როგორც ფიქრობენ მატერიალისტები), თუ ბუნებისმეტყველებას, რომელიც ასახავს გარე სამყაროს ადამიანის „ცდაში“, ერთადერთს შესწევს უნარი მოგვცეს ობიექტური ჭეშმარიტება, ყოველგვარი ფიდეიზმი აუცილებლად უარყოფილია“ (**ლენინი**, ტ. XIII, გვ. 102).

ასეთია მოკლედ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

ადვილი გასაგებია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიის და პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხებში.

თუ ბუნების მოვლენათა კავშირი და მათი ურთიერთგანპირობებულობა ბუნების განვითარების კანონზომიერებებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კავშირი და ურთიერთ განპირობებულობა წარმოადგენენ აგრეთვე არა შემთხვევითს საქმეს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრება. საზოგადოების ისტორია აღარ წარმოადგენს „შემთხვევითობათა“ გროვას, ვინაიდან საზოგადოების ისტორია ხდება საზოგადოების კანონზომიერ განვითარებად, ხოლო საზოგადოების ისტორიის შესწავლა იქცევა მეცნიერებად.

მაშასადამე, პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა უნდა ემყარებოდეს არა „შესანიშნავ პიროვნებათა“ კეთილ სურვილებს, არა „გონების“, „საყოველთაო მორალისა“ და სხვ. მოთხოვნებს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, ამ კანონზომიერებათა შესწავლას.

შემდეგ. თუ სამყარო შეცნობადია და ჩვენი ცოდნა ბუნების განვითარების კანონების შესახებ სარწმუნო ცოდნაა, რომელსაც ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების განვითარება—აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ სარწმუნო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს.

მაშასადამე, მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მაშასადამე, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში პროლეტარიატის პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს არა რაიმე შემთხვევითი მოტივებით, არამედ საზოგადოების განვითარების კანონებით, ამ კანონებიდან გამოყვანილი პრაქტიკული დასკვნებით.

მაშასადამე, სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე იქცევა მეცნიერებად.

მაშასადამე, მეცნიერებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კავშირი, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი, მათი ერთიანობა უნდა გახდეს პროლეტარიატის პარტიის გზის მანათობელ ვარსკვლავად.

შემდეგ, თუ ბუნება, ყოფიერება, მატერიალური სამყარო პირველადია, ხოლო ცნობიერება, აზროვნება — მეორადი, წარმოებული, თუ მატერიალური სამყარო წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ცნობიერება კი ამ ობიექტური რეალობის ასახვას წარმოადგენს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება, მისი ყოფიერება აგრეთვე პირველადია, მისი სულიერი ცხოვრება კი — მეორადი, წარმოებული, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ობიექტური რეალობა, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული, ხოლო საზოგადოების სულიერი ცხოვრება არის ამ ობიექტური რეალობის ასახვა, ყოფიერების ასახვა.

მაშასადამე, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების წყაროს, საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობის წყაროს უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები და სხვ.

მაშასადამე, თუ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა საზოგა-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის!

მთელი ჩვენი პარტია, ყველა ბოლშევიკი, პარტიული და არაპარტიული, შეუსუსტებელი ინტერესით და უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ მოწონებულს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, რომელიც „პრავდაში“ ქვეყნდება. ეს წიგნი — მისი ყოველი თავი — მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფს ლენინ-სტალინის პარტიის უდიდესი ბრძოლისა და სახელოვან გამარჯვებათა გამოცდილებას. ეს წიგნი გვასწავლის სიმტკიცეს და გამბედაობას რევოლუციურ ბრძოლაში, იგი გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმს, პროლეტარიატის ამ ყოვლისშემძლეველ მოძღვრებას.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მესამე თავში, რომელიც „პრავდის“ გუშინდელ ნომერშია დაბეჭდილი, ცენტრალური ადგილი მიძღვნილი აქვს ლენინურ მოძღვრებას პროლეტარიატის **ტაქტიკის** შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, სოციალისტური რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას. ლენინმა თავის შესანიშნავ შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, გაანადგურა რა მენშევიკების წვრილბურჟუაზიული ტაქტიკური გეზი, რუსეთის მუშათა კლასი შეაიარაღა შემდგომი ბრძოლისათვის ცარიზმის წინააღმდეგ, მოგვცა ნათელი პერსპექტივა ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის აუცილებლობისა. როგორც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსშია ნათქვამი, ლენინმა „გამდიდრა მარქსიზმი რევოლუციის ახალი თეორიით და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის იმ რევოლუციურ ტაქტიკას, რომლის შემწეობითაც ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა 1917 წელს გაიმარჯვა კაპიტალიზმზე“.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეოთხე თავი, რომელიც დღეს ქვეყნდება, თავის მნიშვნელოვან ნაწილში მიძღვნილია მარქსისტულ-ლენინური **თეორიის** საერთო საკითხებისადმი.

აშენებდა რა მოწინავე მარქსისტულ პარტიას, სოციალური რევოლუციის პარტიას, პროლეტარიატის დიქტატურის პარტიას, უჭრიდა რა მას ორგანიზაციულ საფუძვლებს, ლენინი ამასთან ერთად სჭედდა მის იდეურ-თეორიულ ძლიერებას. იქმნებოდა პარტია, რომელსაც შეეძლებოდა წაეყვანა მუშათა კლასი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კაპიტალიზმთან. ეს მოითხოვდა გულდასმით მომზადებას, ორგანიზაციული, პოლიტიკური და თეორიული საკითხების დეტალურ დამუშავებას, ვინაიდან საკითხი ეხებოდა ისეთი პარტიის შექმნას, რომელსაც ექნებოდა უნარი სათავეში ჩასდგომოდა სოციალისტურ რევოლუციას.

„ეკონომისტებთან“, მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ოტზოვისტებთან, ყველა ჯურის იდეალისტებთან, თვით ემპირიოკრიტიკოსებამდე, ბრძოლის მთელი ისტორია იყო სწორედ ასეთი პარტიის მომზადების ისტორია. ბოლშევიკებს უნდოდათ შეექმნათ ახალი **ბოლშევიკური** პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ყოფილიყო ნიმუში ყველასათვის, ვისაც უნდოდა ჰყოლოდა ნამდვილი რევოლუციური მარქსისტული პარტია. ბოლშევიკები ასეთ პარტიას უკვე ძველი „ისკრის“ დროიდან ამზადებდნენ. ისინი ამზადებდნენ მას მტკიცედ, დაჟინებით, მიუხედავად ყველაფრისა. ამ მოსამზადებელ მუშაობაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლენინის ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „რა ვაკეთოთ?“, „ორი ტაქტიკა“ და სხვ. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ იყო ასეთი პარტიის **იდეოლოგიური** მომზადება. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ იყო ასეთი პარტიის **ორგანიზაციული** მომზადება. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ იყო ასეთი პარტიის **პოლიტიკური** მომზადება. ბოლოს, ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იყო ასეთი პარტიის **თეორიული** მომზადება.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არცერთი პოლიტიკური ჯგუფი არ იყო ისე საფუძვლიანად მომზადებული იმისათვის, რომ პარტიად ჩამოყალიბებულიყო, როგორც ბოლშევიკური ჯგუფი“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეოთხე თავი, ანალიზს უკეთებს რა ლენინის ფილოსოფიურ შრომებს, მის შესანიშნავ, უბადლო შრომას „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვიჩვენებს ლენინის ბრძოლას, ბოლშევიკური პარტიის ბრძოლას ფილოსოფიურ-თეორიული რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად. ბოლშევიკური პარტია გაიზარდა და გამოიბრძმედა გამძაფრებულ ბრძოლაში ყველა და ყოველგვარ ოპორტუნისტთა წინააღმდეგ პრაქტიკასა და თეორიაში, მან გამოსჭედა თავისი ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა, უკუაგდებდა და ანადგურებდა რა იდეალიზმს, ხუცესობას, ყოველივე იმას, რაც პროლეტარიატს უკან ეწეოდა. მთელი კაცობრიობის წინაშე ჩვენი პარტია დგება, როგორც ყველაზე მოწინავე თეორიის მატარებელი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერებისა და პროგრესისათვის დაუღალავი მებრძოლი.

სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხთა გაშუქება, რომელიც მეოთხე თავშია მოცემული. უკიდურესი სიცხადით, მაღალ მეცნიერულ დონეზე აქ გადმოცემულია მარქსისტული პარტიის თეორიის საფუძვლები. ამ საკითხებს რათა აქვთ დათმობილი ასეთი დიდი ადგილი? იმიტომ, ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, რომ „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენენ კომუნიზმის თეორიულ საძირკველს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძვლებს, ხოლო ამ საფუძვლების ცოდნა და, მაშასადამე, მათი შეთვისება ჩვენი პარტიის თვითეული აქტიური მოღვაწის მოვალეობას წარმოადგენს“.

მეოთხე თავი დარწმუნების უდიდესი ძალით გვიჩვენებს მარქსიზმის საერთო-ფილოსოფიური საფუძვლების — დიალექტიკური მატერიალიზმის შინაგან უწყვეტ კავშირს პროლეტარული რევოლუციის თეორიასთან, საერთო თეორიული საკითხების კავშირს მუშათა კლასის ბრძოლის პრაქტიკულ პოლიტიკურ საკითხებთან. ფილოსოფიური საკითხების განსაკუთრებული ზუსტი და ღრმა გაშუქების მეოხებით, რაც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსშია მოცემული, ჩვენი პარტიული აქტივი შესძლებს მარქსიზმ-ლენინიზმის მთელი თეორიული სიმდიდრის დაუფლებას. ფილოსოფიური ფრონტის მუშაკებმა უნდა ისწავლონ ფილოსოფიის საფუძვლების ღრმად დამუშავება, ნათლად და პოპულარულად გადმოცემა. პარტიული კადრების თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია წარმოუდგენელია საზოგადოებრივი განვითარების კანონების შეთვისებისა და ღრმა ცოდნის გარეშე.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ჩვენი პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა რევოლუციურ თეორიას. „რევოლუციური თეორიის გარეშე, — სწერდა ლენინი, — არც რევოლუციური მოძრაობა შეიძლება... **მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება ძალუძს მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით**“.

„თეორია, თუ იგი ნამდვილად თეორიას წარმოადგენს, პრაქტიკოსებს აძლევს ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, მუშაობის რწმენას, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას“ (სტალინი).

ლენინმა და სტალინმა დაიცვეს მარქსისტული თეორია მისი მტრების მიერ გავულგარებისა და დამახინჯებისაგან, განუწყვეტლივ ანვითარებდნენ ამ თეორიას, აღრმავებდნენ, ამდიდრებდნენ მას რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით. სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები წარმოადგენენ რევოლუციური პრაქტიკისა და რევოლუციური თეორიის შეერთების ბრწყინვალე მაგალითს.

ბოლშევიკურ მოღვაწეს, მეცნიერული თეორიით შეიარაღებულს, ყოველთვის წინ აქვს ფართო პერსპექტივა. მას ესმის მოვლენათა კავშირი, ამბების კავშირი, მას შესწევს უნარი ყოველი თავისი პრაქტიკული ნაბიჯი შეუერთოს ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზანს. პირიქით, იმ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც შეიარაღებული არ არის მოწინავე რევოლუციური თეორიით, მოელის საფრთხე პერსპექტივის დაკარგვისა, სწორი გზიდან გადაცდენისა, მოელის საფრთხე მტრული გავლენის მსხვერპლად გახდომისა, საქმოსნობისა და ოპორტუნიზმის ჭაობში ჩაფლობისა. ბოლშევიკებისათვის მტრებს არაერთხელ უწინასწარმეტყველიათ დაღუპვა. მაგრამ ჩვენს პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავდა მუშათა კლასი, ყველა მშრომელნი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ეს რწმენა ემყარებოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ღრმა ცოდნას. სოციალისტური რევოლუციის კანონთა ცოდნას, კლასების ბუნების ცოდნას. ამ ცოდნის გარეშე კაპიტალიზმზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

„მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ემყარება მოწინავე თეორიას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, რომელსაც თეორია შესაფერ სიმაღლეზე აჰყავს და თავის მოვალეობად მიაჩნია ბოლომდე გამოიყენოს მისი დამრაზმველი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმი—ეს არის ცოცხალი რევოლუციური თეორია, რომელიც ყალიბდება რევოლუციურ პრაქტიკასთან უწყვეტ კავშირში. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება არ უნდა გადაიქცეს ცალკეული ფორმულების, ციტატების დაზეპირებად. უნდა ვცდილობდეთ ჩავწვდეთ მარქსისტული მოძღვრების არსს, სულს, ავიღოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული დებულებანი პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, კონკრეტულ ვითარებასთან კავშირში. მარქსიზმ-ლენინიზმი, არის რა ცოცხალი რევოლუციური მოძღვრება, მუდამ ვითარდება და მდიდრდება რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით.

ჩვენი პარტია, ბოლშევიკების პარტია, უდიდეს უძლეველ ძალას წარმოადგენს. მისი ძლიერება და ძალა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ პარტიის ყველა წევრი განუხრელად იმუშავებს თავისი თეორიული დონის ამაღლებაზე, დაეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

უკანასკნელ ხანებში ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია ათიათასობით ახალი ადამიანები, რომელთაგან ბევრს დიდი პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია. მაგრამ მარტო პრაქტიკული გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ ნამდვილი ბოლშევიკური მოღვაწეები ვიყოთ. ამიტომ საჭიროა დავეუფლოთ რევოლუციურ თეორიას, სისტემატურად და შეუპოვრად ვიმუშაოთ, ჩავწვდეთ მარქსიზმ-ლენინიზმს. მოწინავე რევოლუციური თეორიის დაუფლება დაგვეხმარება ჩვენ უფრო სწრაფად გამოვიცნოთ მტრები, ჩამოვგლიჯოთ მათ ყველა და ყოველგვარი ნიღბები, აღმოვფხვრათ და გავანადგუროთ სოციალისტური სამშობლოს გამცემლები და მოღალატეები. რევოლუციური თეორიის დაუფლება უზრუნველჰყოფს ჩვენთვის ძლევამოსილ სვლას წინ, კომუნიზმისაკენ!

„პრავდის“ მოწინავე 12/IX.

გაგრძელება

დოებრივ იდეებს, თეორიებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, თუ მონათმფლობელური წყობილების დროს ვხვდებით ერთ საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, ფეოდალიზმის დროს —მეორეს, კაპიტალიზმის დროს — მესამეს, ეს გარემოება აიხსნება არა თვით იდეათა, თეორიათა, შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა „ბუნებით“, არა მათი „თვისებით“, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა პირობებით საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პერიოდებში.

როგორიცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორიცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, — ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები.

ამასთან დაკავშირებით მარქსი ამბობს:

„ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“ (**კ. მარქსი,** რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 269).

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას და ფუჭ მეოცნებეთა მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს, პროლეტარიატის პარტია თავის მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს არა „ადამიანის გონების“ განყენებული პრინციპებიდან, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალის, კონკრეტული პირობებიდან, არა „დიდ ადამიანთა“ კეთილი სურვილებიდან, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური საჭიროებებიდან.

უტოპისტების, მათ შორის ნაროდნიკების, ანარქისტების, ესერების დაცემა აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ სცნობდნენ მატერიალური ცხოვრების პირობათა უპირატეს როლს საზოგადოების განვითარებაში და, ეშვებოდნენ რა იდეალიზმში, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას აგებდნენ არა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებათა საფუძველზე, არამედ ამ საჭიროებათაგან დამოუკიდებლად და მათ წინააღმდეგ, — აგებდნენ საზოგადოების რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ „იდეალურ გეგმათა“ და „ყოვლისშემცველ პროექტთა“ საფუძველზე.

მარქსიზმ - ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იგი ემყარება სწორედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს, არასოდეს არ სწყდება რა საზოგადოების რეალურ ცხოვრებას.

მაგრამ მარქსის სიტყვებიდან ის როდი გამოდის, რომ საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს მნიშვნელობა არ ჰქონდეთ საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ისინი თავის მხრით ზეგავლენას არ ახდენდნენ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობათა განვითარებაზე. ჩვენ აქ ვლაპარაკობდით ჯერჯერობით საზოგადოებრივი იდეების, თეორიების, შეხედულებების, პოლიტიკური დაწესებულებების **წარმოშობაზე,** მათს **აღმოცენებაზე,** იმაზე, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება მისი მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვას წარმოადგენს. რაც შეეხება საზოგადოებრივი იდეების, თეორიების, შეხედულებების, პოლიტიკური დაწესებულებების **მნიშვნელობას,** რაც შეეხება მათს **როლს** ისტორიაში, ისტორიული მატერიალიზმი არა თუ არ უარჰყოფს, არამედ, პირიქით, **ხაზს** უსვამს მათს სერიოზულ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში, საზოგადოების ისტორიაში.

საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სხვადასხვანაირია. არის ძველი იდეები და თეორიები, რომლებმაც თავისი დრო მოსჭამეს და რომლებიც საზოგადოების დრომოჭმული ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აფერხებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას. არის ახალი, მოწინავე იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აადვილებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, ამასთან ისინი მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, რაც უფრო ზუსტად ასახავენ ისინი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს.

ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი აღმოცენდნენ, ისინი ხდებიან უაღრესად სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების გადაჭრას, აადვილებს საზოგადოების წინსვლას. სწორედ აქ იჩენს თავს ახალი იდეების, ახალი თეორიების, ახალი პოლიტიკური შეხედულებების, ახალი პოლიტიკური დაწესებულებების უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა. ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშვებიან, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე **შეუძლებელია** საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა. წარმოიშვნენ რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების ბაზაზე, ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები გზას იკაფავენ, ხალხის მასების კუთვნილებად ხდებიან, რაზმავენ, აორგანიზებენ მათ საზოგადოების მომაკვდავი ძალების წინააღმდეგ და, ამრიგად აადვილებენ დამხობას საზოგადოების მომაკვდავი ძალებისას, რომლებიც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებას აფერხებენ.

ამგვარად საზოგადოებრივი იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესებულებები, აღმოცენდებიან რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებრივი ყოფიერების მომწიფებული ამოცანების ბაზაზე,—შემდეგ თვითონ ახდენენ ზეგავლენას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე, ჰქმნიან რა იმისათვის აუცილებელ პირობებს, რომ ბოლომდე მიყვანილ იქნას საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა და შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი განვითარება.

ამასთან დაკავშირებით მარქსი ამბობს:

„თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება“ (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი,** ტ. I, გვ. 406).

მაშასადამე, რათა პროლეტარიატის პარტიას შესაძლებლობა ჰქონდეს ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე და დააჩქაროს ამ პირობების განვითარება, დააჩქაროს მათი გაუმჯობესება, იგი უნდა დაეყრდნოს ისეთ საზოგადოებრივ თეორიას, ისეთ საზოგადოებრივ იდეას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს და რომელსაც ამის გამო შესწევს უნარი აამოძრაოს ხალხის ფართო მასები, შესწევს უნარი დარაზმოს ისინი და შეჰქმნას მათგან პროლეტარული პარტიის დიადი არმია, რომელიც მზად არის გაალამტვეროს რეაქციული ძალები და გზა გაუკაფოს საზოგადოების მოწინავე ძალებს.

„ეკონომისტებისა“ და მენშევიკების დაცემა აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ სცნობდნენ მოწინავე თეორიის, მოწინავე იდეის დამრაზმავ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ როლს, და ეშვებოდნენ რა ვულგარულ მატერიალიზმში, თითქმის ნულამდე დაჰყავდათ მათი როლი,—მაშასადამე განუმზადებდნენ პარტიას პასივობას, ერთ წერტილზე გაყინვას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეყრდნობა მოწინავე თეორიას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს, აჰყავს თეორია მის შესაფერ სიმაღლეზე და თავის მოვალეობად სთვლის ბოლომდე გამოიყენოს მისი დამრაზმავი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა.

ასე სწყვეტს ისტორიული მატერიალიზმი საკითხს საზოგადოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის, მატერიალური ცხოვრების განვითარების პირობებსა და საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებას შორის ურთიერთობის შესახებ.

გამოსარკვევი რჩება საკითხი: რას უნდა ვგულისხმობდეთ ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში“, რომლებიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ საზოგადოების სახეს, მის იდეებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს და ა. შ.

მართლაც,—რა არის ეს „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები“, როგორია მათი განმასხვავებელი ნიშნები?

უეჭველია, რომ „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების“ ცნებაში შედის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების გარემომცველი ბუნება, გეოგრაფიული გარემო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთერთ აუცილებელ და მუდმივ პირობას და, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. როგორია გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში? ხომ არ წარმოადგენს გეოგრაფიული გარემო იმ მთავარ ძალას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების სახეს, ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, ერთი წყობილებიდან მეორეზე გადასვლას?.

ისტორიული მატერიალიზმი ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებს.

გეოგრაფიული გარემო, უდავოა, საზოგადოების განვითარების ერთერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე,—იგი აჩქარებს ან აჩელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას. მაგრამ მისი გავლენა **განმსაზღვრელი** გავლენა როდია, ვინაიდან საზოგადოების ცვლილებანი და განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გეოგრაფიული გარემოს ცვლილებანი და განვითარება. სამი ათასი წლის მანძილზე ევროპაში უკვე შეიცვალა სამი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება: პირველყოფილ-თემური წყობილება, მონათმფლობელური წყობილება, ფეოდალური წყობილება, ხოლო ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, სსრ კავშირში ოთხი საზოგადოებრივი წყობილებაც კი შეიცვალა. ხოლო ამავე პერიოდში გეოგრაფიული პირობები ევროპაში ან სრულებით არ შეცვლილა, ან იმდენად უმნიშვნელოდ შეიცვალა, რომ გეოგრაფია არც კი ლაპარაკობს ამაზე. ეს გასაგებიც არის. გეოგრაფიული გარემოს რამდენადმე სერიოზული ცვლილებებისათვის საჭიროა მილიონობით წლები, მაშინ როდესაც ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების უაღრესად სერიოზული ცვლილებებისათვისაც კი საკმარისია რამდენიმე ასეული ან ორიოდე ათასი წელი.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ გეოგრაფიული გარემო არ შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მიზეზს, **განმსაზღვრელ** მიზეზს, ვინაიდან ის, რაც ათეულათასობით წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება, არ შეიძლება წარმოადგენდეს იმის განვითარების მთავარ მიზეზს, რაც ძირფესვიან ცვლილებებს განიცდის ასეული წლების განმავლობაში.

შემდეგ, უეჭველია, რომ მოსახლეობის ზრდა, მოსახლეობის ესა თუ ის სიმჭიდროვე, აგრეთვე შედის „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა“ ცნებაში, ვინაიდან ადამიანები შეადგენენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელემენტს, და ადამიანთა განსაზღვრული მინიმუმის არსებობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების რაიმე მატერიალური ცხოვრება. ხომ არ წარმოადგენს მოსახლეობის ზრდა იმ მთავარ ძალას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს?

ისტორიული მატერიალიზმი ამ კითხვაზეც უარყოფითად უპასუხებს.

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ზრდას გავლენა აქვს საზოგადოების განვითარებაზე, იგი აადვილებს ან აჩელებს საზოგადოების განვითარებას, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარების მთავარი ძალა, და მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე არ შეიძლება იყოს **განმსაზღვრელი** გავლენა, ვინაიდან თავისთავად მოსახლეობის ზრდა არ იძლევა გასაღებს იმის ასახსნელად, თუ რატომ იცვლება მოცემული საზოგადოებრივი წყობილება სახელდობრ ამადაამ ახალი წყობილებით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით, რატომ იცვლება პირველყოფილ-თემური წყობილება სახელდობრ მონათმფლობელური წყობილებით, მონათმფლობელური წყობილება—ფეოდალურით, ფეოდალური — ბურჟუაზიულით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით.

მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალას რომ წარმოადგენდეს, მოსახლეობის უფრო მაღალ სიმჭიდროვეს აუცილებლად უნდა გამოეწვია საზოგადოებრივი წყობილების შესაბამისად უფრო მაღალი ტიპი. მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ვხედავთ. ჩინეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე ჩინეთი, ვინაიდან ჩინეთში ჯერ კიდევ ბატონობს ნახევრადფეოდალური წყობილება, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მიაღწიეს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას. ბელგიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 19-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, და 26-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სსრ კავშირში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ბელგიაზე უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, სსრ კავშირს კი ბელგია მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორჩა, ვინაიდან ბელგიაში კაპიტალისტური წყობილება ბატონობს, მაშინ როდესაც სსრ კავშირმა უკვე ბოლო მოუღო კაპიტალიზმს და დაამყარა სოციალისტური წყობილება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოსახლეობის ზრდა არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოების განვითარების მთავარ ძალას, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათის, საზოგადოების სახის **განმსაზღვრელ** ძალას.

მაშ რაში მდგომარეობს ის მთავარი ძალა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების სახეს, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, საზოგადოების განვითარებას ერთი წყობილებიდან მეორისაკენ?

ასეთ ძალად ისტორიული მატერიალიზმი სთვლის ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი **საარსებო საშუალებების მოპოვების წესს, მატერიალურ დოვლათთა,**—საზრდოს, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცხოვრებელი ბინის, სათბობის, საწარმოო იარაღების და სხვ. **წარმოების წესს,** რომლებიც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებას ცხოვრება და განვითარება შეეძლოს.

რომ ცხოვრობდე, უნდა გქონდეს საზრდო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინა, სათბობი და სხვ., ეს მატერიალური დოვლათი რომ გქონდეს, უნდა ამზადებდე მას, ხოლო მას რომ აწარმოებდე, უნდა გქონდეს საწარმოო იარაღები, რომელთა საშუალებით ადამიანები ამზადებენ საზრდოს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს, სათბობს და სხვ., უნდა იცოდე ამ იარაღების დამზადება, უნდა იცოდე ამ იარაღების გამოყენება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის ოლქკომის მეორე პლენუმი

ბათუმი, 16 სექტემბერი (საქდესი). 15-16 სექტემბერს მიმდინარეობდა პარტიის აჭარის ოლქკომის მეორე პლენუმი. პლენუმმა განიხილა 4 საკითხი.

ბათუმის საქალაქო და ხულოს რაიონის პარტიული ორგანიზაციების მიერ კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაწევისა და დახმარების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ჯიბლაძე და ხულოს პარტრაიკომის მდივანი ამხ. ვ. ჯიმშელეიშვილი.

პარტიის ქედის რაიონული კრების დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ იქნა ქედის რაიკომის მდივნის ამხ. ხელაძის მოხსენება და ქობულეთის მესამე რაიონული პარტკონფერენციის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ ქობულეთის რაიკომის მესამე მდივნის ამხ. დარჩიას ცნობა.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის ღონისძიებების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიის აჭაროლქკომის მდივანი ამხ. ა. საჯაია.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 17 ამხანაგმა. ყველა საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხებიც. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან და ბიუროს წევრობიდან პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. თაფლაშვილი. პლენუმმა საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. **ი. კორძაია.** საოლქო კომიტეტის მესამე მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. ალექსანდრა **ტოგონიძე.**

პლენუმმა ბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. ს. ჯიბლაძე შეიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად, ხოლო წევრობის კანდიდატებად დამატებით აირჩია ამხ. ვასილ ეროშენკო და ამხ. მიხეილ ანასტასიადი.

თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში

ლენინგრადი, (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან). თბილისის ოპერის თეატრმა თავისი საუცხოო სპექტაკლებით ლენინგრადელ მაყურებელთა დიდი სიმპატია და სიყვარული დაიმსახურა. სპექტაკლები კვლავ დიდი წარმატებით სარგებლობენ, დარბაზი მუდამ სავსეა.

12 სექტემბერს დილით შესდგა საშეფო სპექტაკლი წითელი არმიის, წითელი ფლოტისა და მესაზღვრე ნაწილებისათვის. დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრეთა შორის იყვნენ მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი მებრძოლები, სამხედრო სასწავლებლების მასწავლებლები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები—საბჭოთა კავშირის გმირი, ბრიგადის მეთაური კოპეცი, წყალქვეშა ნავის მეთაური, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი სელეზნევი და სხვ. სპექტაკლმა განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა. მესამე აქტის დასრულების შემდეგ კურსანტმა ორდენოსანმა ამხ. ალექსეევმა მადლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივს საუცხოო სპექტაკლისათვის. „იმუშავეთ უფრო მეტი წარმატებით, ემსახურეთ თქვენს მშვენიერ ხელოვნებას. ჩვენ თოფის წამალი მუდამ მშრალად გვაქვს და ხრავს არ მივცემთ ჩვენი საყვარელი დიადი სამშობლოს ხელყოფის ნებას. ხალხთა ძმური მეგობრობა ჩვენი უძლეველობის საწინდარია“. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით გამოვიდა სოლისტი ორდენოსანი ვენაძე, რომელიც დამსწრეთა სახით მიესალმა სახელოვან წითელ არმიას, წითელდროშოვან ბალტიის ფლოტს, მამაც მესაზღვრეებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს. იგი დღეგრძელობას უსურვებს დიდ სტალინს რკინის სახკომს ვოროშილოვს, ხალხთა სტალინურ მეგობრობას. აქტიორთა მთელი კოლექტივი ორკესტრთან ერთად ასრულებს „ინტერნაციონალს“. სპექტაკლი გადაიქცა ხალხთა და სახელოვანი წითელი არმიის მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად.

12 სექტემბერს საღამოს რადიოცენტრში შესდგა ქართული და სომხური მუსიკის დიდი სიმფონიური კონცერტი ორდენოსან დირიჟორ აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით. შესრულებულ იქნა ფალიაშვილის, ბალანჩივაძისა და სპენდიაროვის ნაწარმოებნი. თეატრის მსახიობებმა ქუმსიაშვილმა, ამირანაშვილმა და ნაკაშიძემ ორკესტრთან ერთად შეასრულეს მთელი რიგი არიები. კონცერტის დამთავრების შემდეგ ორკესტრის კოლექტივმა 80 კაცის შემადგენლობით და რადიოკომიტეტმა მიულოცეს შემსრულებლებს და დირიჟორს წარმატებით გამოსვლა.

იმავე დღეს საღამოს თეატრმა უჩვენა ბალეტი „მალთაყვა“.

რ. ხალილოვი

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ რეისი

(ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ გემბანი, რადიო. ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

14 სექტემბერს შევედით ვილკიცკის სრუტეში. აქ მთელი ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში პირველად შევხვდით იშვიათ ყინულებს, რომელთა შორის ამაყად მისცურავდა თეთრად მოელვარე უზარმაზარი აისბერგი. არქტიკა გვაგრძნობინებს თავს ნისლითა და სიცივით. დილით საბჭოთა საყინულმჭრელო ფლოტის ფლაგმანი მიცურდა უხუცეს ყინულმჭრელ „ერმაკთან“, რომელთანაც შეხვედრა მოხდა „კომსომოლსკაია პრავდის“ ერთერთ კუნძულთან. ყინულმჭრელები ერთმანეთს შეეგებნენ სალუტით და ეკიპაჟების „ვაშას“ ძახილით დიდი სტალინის პატივსაცემად. მალე დაიწყო ყინულმჭრელ „მალიგინისათვის“ დანიშნული სასურსათო მარაგის, მედიკამენტების, პოლარული საჭურვლის გადატვირთვა და ხალხის გადაყვანა. „ერმაკის“ მეზღვაურებმა დაათვალიერეს პირველი საბჭოთა ყინულმჭრელი, რომელმაც მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

გ. თვალაძე

მწერალთა კავშირში

გუშინ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციაში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ს. მთვარაძის პიესა „მთაგრეხილზე“.

თათბირი გახსნა მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ჟღენტმა.

ავტორმა ამხ. ს. მთვარაძემ წაიკითხა თავისი პიესა. პიესის სიუჟეტი გაშლილია კავკასიონის მთაგრეხილზე რკინიგზის ახალი ტრასის წინასწარი საკვლევო მუშაობის ფონზე. პიესაში ნაჩვენებია დიადი სტალინური მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოცული მოწინავე მეცნიერების მუშაკთა ენტუზიაზმი.

პიესის გარშემო აზრი გამოსთქვეს ამხ. შ. დადიანმა, ს. კლდიაშვილმა, დ. ბენაშვილმა, ე. ასტვაცატუროვმა, ბ. აბულაძემ, დ. კასრაძემ, ბ. ჟღენტმა, ა. ვასაძემ და დ. ალექსიძემ. მათ მიუთითეს ავტორს ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, როგორიცაა, მაგალითად, პიესაში მოქმედი პირების ხასიათთა დაუხვეწელობა, დიალოგების დატვირთვა ზედმეტი ფრაზებით და სხვ.

ს. მთვარაძემ და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ აღუთქვეს დამსწრეთ შემჩნეული დეფექტების გამოსწორება.

უნდა აღინიშნოს, რომ დადგმამდე პიესების წინასწარ განხილვას მწერალთა კავშირში დღემდე ადგილი არ ჰქონია. დრამატურგთა სექციის ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა ერთხმად აღნიშნეს როგორც მწერალთა კავშირის, ისე რუსთაველის თეატრის წარმომადგენლებმა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ტყიბულის მაღაროებში“

„კომუნისტის“ ა. წ. 26 აგვისტოს ნომერში ტყიბულის ქვანახშირის წარმოების მუშაობის შესახებ დაიბეჭდა მოწინავე წერილი და მასალები. მიღწევებთან, დადებით ფაქტებთან ერთად აღნიშნული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს შახტების სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის დარგში.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. **ნ. ბაიდაშვილი** გვწერს: „კომუნისტში“ სამართლიანად იყო აღნიშნული მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონულმა კომიტეტმა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებები განახორციელა:

„კომუნისტის“ აღნიშნული ნომერი წაკითხულ და დამუშავებულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, ცვლებში და ცალკეულ ბრიგადებში.

რაიონულმა კომიტეტმა გამოიტანა სპეციალური დადგენილება შახტებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაიკომი ყოველდღიურად ეხმარება შახტების პარტკომებს ამ დადგენილების შესასრულებლად.

შევსებულია რაიკომის ინსტრუქტორების შემადგენლობა. შახტის ზონის ინსტრუქტორად დანიშნულია ამხ. ბერძულიშვილი, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას, კონკრეტულად ხელმძღვანელობს და ეხმარება შახტების პარტორგანიზაციებს.

რაიკომის ბიურომ მოისმინა რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქტორის მოხსენება; „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციას დაევალა უფრო ვრცლად გააშუქოს პარტიული ცხოვრება, გაზეთის მუშაობაში ჩააბას და გამოიყენოს პარტიული აქტივი, სისტემატურად ბეჭდოს მასალები შახტების მუშაობის შესახებ. გაზეთის ფურცლებზე აგრეთვე ბეჭდოს მასალები ტყიბულის სტახანოველთა შესახებ და ამხილოს ზარმაცები და შრომის დისციპლინის დამრღვევნი.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობას დაევალა, რათა სასწრაფოდ აღმოფხვრას „კომუნისტის“ მიერ აღნიშნული ყველა ნაკლი და დააჩქაროს სტალინის სახელობის შახტის მექანიზაცია.

პროფორგანიზაციებს მიეთითა, რათა ჯეროვნად ჩაუდგნენ სათავეში მუშებს და ყოველდღიურად იზრუნონ ტყიბულის მაღაროებში სოცშეჯიბრების გაშლისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის.

„კომუნისტის“ რედაქციაში მოწვეული თათბირის შემდეგ

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგა საქ. საშენ მასალათა ქარხნების დირექტორების, ტექნიკური ხელმძღვანელებისა და სტახანოველების თათბირი. საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ციცავის მოხსენებამ და კამათმა ამ მოხსენების გამო ცხადჰყო, რომ საქართველოს საშენ მასალათა საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული ბოლშევიკური წესრიგი; გარდა იმისა, რომ ეს საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, ცუდია აგრეთვე ხარისხიც.

თათბირზე გამოირკვა მრეწველობის ამ დარგის ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზები. საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ნაკლებ პრაქტიკულ დახმარებას უწევდა საწარმოებს, ცოტას ზრუნავდა მათი დეფიციტური მასალით მომარაგებისათვის. საწარმოთა დირექტორები რაციონალურად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, არსებითად არ ხელმძღვანელობენ სტახანოვურ მოძრაობას და სხვ.

დირექტორებისა და სტახანოველების გამოსვლამ დაგვანახვა, რომ აგურის ზოგი ქარხნის ნაგებობანი და მანქანა-მოწყობილობანი მოძველდნენ და საფუძვლიან გადაკეთებას და რემონტს მოითხოვენ.

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ცალკეულ საწარმოებში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით თათბირის მასალების საფუძველზე უკვე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებით შრომის აგურის ქარხანაში უნდა ჩატარდეს დოკუმენტალური რევიზია და დამუშავდეს ნედლი მასალისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები; ქარხნის დირექციამ უნდა შეადგინოს მანქანა-მოწყობილობის შეკეთების კალენდარული გეგმა და სახ. კომისარიატს წარმოუდგინოს მოთხოვნა მანქანა-იარაღების საჭირო ნაწილებზე.

რადგან შრომის ქარხანაში საწარმოო შენობა-ნაგებობანი საგრძნობლად მოძველებულია, რაც ქარხნის მუშაობას აფერხებს, საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აქედანვე უნდა იზრუნოს ქარხნის რეკონსტრუქციისათვის მომავალ წელს.

თბილისის ღრმაღელის ქარხანაში უნდა დაჩქარდეს მუშათა საცხოვრებელი ბინების, აბანოს და სახანძრო დეპოს მშენებლობა. გარდა ამისა, ქარხანაში გატარდება მთელი რიგი ღონისძიებანი (ქარხნის მაღალხარისხოვანი ნახშირით მომარაგება, ფარდულების რეკონსტრუქცია, თიხის გაცრა და ნორმალური სისველის დაცვა და სხვ.). ამ ღონისძიებათა დროზე გატარება საგრძნობლად გააუმჯობესებს აგურის ხარისხს, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ადგ. მრეწ. სახ. კომისარიატმა მსგავსი ღონისძიებანი დასახა აგრეთვე ტევრის და ნოსირის აგურის, მოწამეთისა და სურამის კირის და თბილისის ბეტონის ქარხნებისათვის.

გასწორება

„კომუნისტის“ 17 სექტემბრის ნომერში მოთავსებულ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის“ III თავის მე-4 ნაწილში მეცხრე აბზაცის ოცდამეთერთმეტე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „...ვაჭრები, ხუცები, ნახევრად სისხლისამართლის დამნაშავე ელემენტები მაწანწალებიდან...“ და ა. შ.

ამავე თავის მე-5 ნაწილის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „გლეხთა ბრძოლამ მემამულეების წინააღმდეგ 1905 წლის შემოდგომაზე ფართო ხასიათი მიიღო. გლეხთა მოძრაობა მოდებული ჰქონდა მთელი ქვეყნის მაზრათა მესამედზე მეტს“ და ა. შ.

ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით „კომუნისტის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმ ორგანიზაციებსა და პირთ, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება დაუვიწყარი მეგობრის სეონ თოხაძის გარდაცვალების გამო.

მ. რამიშვილი-თოხაძისა

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

19 სექტემბერს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ბრძოლა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის (1883—1901 წლები). ლექტორები: ქართულ ენაზე ამხ. ფრუიძე, რუსულ ენაზე ამხ. კანტერე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ლენინიზმის მოძღვრება იმპერიალიზმის ჯაჭვის მის სუსტ რგოლში გაწყვეტისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის, კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. ლექტორები: ქართულ ენაზე ამხ. ლარცულიანი, რუსულ ენაზე ამხ. გ. კიკნაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: დებულება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. გუგუშვილი.

ალკკ კაბინეტი — ლექცია თემაზე: იაპონიის იმპერიალიზმის ჩინეთში შეჭრის ისტორია. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. გ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
20, 21, 22, 23 და 24 სექტემბერს
ტარდება საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის მე-5 რესპუბლიკური
ოლიმპიადა
მონაწილეობას მიიღებენ შემსრულებელნი საქართველოს ყველა კუთხიდან.
ყველა გამოცხადებული დღეების ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 3—3 249

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
18 სექტემბერს
მე-2 სერიის ტალონი № 10
მოსკოვის ესტრადის ოსტატთა გამოსათხოვარი გამოსვლა
კონფერანსიე მიხ. გარკავი
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.
19, 20 და 21 სექტემბერს
მე-2 სერიის ტალონები № 11, 12, 13
უსსრ სახელმწიფო თეატრალიზებული
ქალთა საგუნდო ანსამბლი
მხატვრ. ხელმძღვანელი
იური ტარანჩენკო.
ბილეთები წინასწარ იყიდება 11—2 ს. და საღ. 6 ს-დან.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი

18/IX	წარმოდგენა 4 სულელი
20/IX	წარმოდგენა 5 ნაპერწკლიდან
21/IX	წარმოდგენა 6 ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დღის 12 ს. საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე, (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეია.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალებისა და ბავშვებისა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი. მე-2 სართული, ბინა № 38.
19045

სტალინის რაიონის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ჯაჯანიძე აცხადებს, რომ 1938 წლის 19 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ქ. თბილისში, შრომის ქუჩა № 12, გრიგოლ ნონიკაშვილის ბინაზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
„რაიტრანსტორგპიტის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ა.-კ. რკ. გზის სატრანსპორტო სასამართლოს განაჩენისა ნონიკაშვილის საქმეზე.
გაიყიდება პიანინო, ბუფეტი, შიფონიერი, პირისსაბანი და სხვა საოჯახო ნივთები, შეფასებული სულ 5150 მანეთად. 19350

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1474